ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 271 (20012) ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 24 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1987 ᲬᲔᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲒᲣᲨᲘᲜ, ᲓᲦᲔᲡ, ᲮᲕᲐᲚ

ᲤᲐᲥᲢᲘ ▪ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ ▪ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲕᲐᲮᲢᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲠᲑᲐ-ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ, ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲨᲠᲐᲛᲔᲚᲔᲑᲘ ᲕᲐᲓᲐᲨᲘ ᲐᲓᲠᲔ ᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲬᲔᲚᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲗ ᲜᲝᲑᲐᲗᲔᲑᲘᲗ ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲝᲗᲮᲯᲔᲠᲘᲜᲘᲗ.

რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს ორმა ქვეუწყებამ — № 3 ტრესტის „ᲫᲘᲐᲗᲣᲠᲛᲨᲔᲜᲘᲡ“ სამშენებლო სამმართველომ და ქუთაისის № 311 ავტოსატრანსპორტო საწარმომ შეასრულეს წლიური დავალებები. მშენებლებმა წარმატებით გაართვეს თავი საცხოვრებელი სახლებისა და სამეურნეო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის პროგრამას. ამასთან გაუუმჯობესეს ხარისხი, საგრძნობლად გაზარდეს შრომის ნაყოფიერებაც. ტრანსპორტის მუშაკებმა კი საკმაო საწვავ-საპოხი მასალა დაზოგეს და თერთმეტი პროცენტით გაზარდეს ტვირთზიდვის მოცულობა.

სამშენებლო სამმართველოსა და ავტოსატრანსპორტო საწარმოს მშრომელებმა გადაწყვიტეს წლის ბოლომდე ათასობით მანეთის ზეგეგმიური სამუშაოები შეასრულონ.

* * *

ᲛᲝᲜᲐᲒᲐᲚᲘ წლის ანგარიშში მუშაობენ საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის საქჩოოვეტინსტიტუტის კოწანისის სასწავლო-საექსპერიმენტო მეურნეობის მეცხოველეები. აქ ცენტნერი კარგი დუქციის მასალად, წელიწადში ... ნორმაზე გაცილებით მეტ ... ლებ საკვებს იყენებენ. ... ეს საკვები ბაზა ... ყოფს პირუტყვის სტ... ნამატებას, წველადობის გაზ... დებას. მეურნეობაში დაადგენენ სრული მექანიზაციის კურსს. დღეისათვის წლიური გეგმით გათვალისწინებული 200 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 384 ტონა ხორცი, 1.967 ტონა რძე — დაგეგმილთან შედარებით 167 ტონით მეტი. სანაშენე მეცხოველეობისა და მეფრინველეობის განვითარების საკავშირო კონკურსში მოპოვებული საუკეთესო მაჩვენებლებისათვის მეურნეობას მიენიჭა სსრ კავშირის სახაგრომრეწვის მეორე ხარისხის დიპლომი.

* * *

ᲗᲐᲠᲗᲕᲐᲜᲔᲚᲘ რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებული ქასპის რაიონის მშრომელები არც წელს ირცხვენენ თავს.

საზოგადოებრივ მეურნეობათა მშრომელებმა უკვე შეასრულეს თესლოვანი ხილის დამზადების წლიური გეგმა. 15.025 ტონის მაგივრ დამზადებულია 15.200 ტონა ხილი. სახელმწიფო გეგმის შესრულებაში თავი გამოიჩინეს კოდისწყაროს, ქასპის, ქვემო ქალის საზოგადოებრივ მეურნეობათა მეხილეებმა.

ხილის დამზადება გრძელდება.

ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲘᲡ ᲓᲐᲨᲕᲐᲠᲘ

ᲠᲬᲛᲔᲜᲘᲗ ᲮᲕᲓᲔᲑᲐ ᲮᲕᲐᲚᲘᲜᲓᲔᲚ ᲓᲦᲔᲡ

ᲓᲐᲥᲠᲘᲐᲜ ცისფერი ვაგონები მიწისქვეშეთში. გრანიტითა და მარმარილოთი მოპირკეთებულ სადგურებში რიყრაკიდან შუაღამემდე წუთით არ ილევა მგზავრთა ნაკადი. გაჩირაღდნებული ტრასების ბოლოს კი, იქ, სადაც არ სწვდება ხალხის თვალი, პიტალო ქანებს ებრძვიან გვირაბმშენებლები, რათა დროულად ჩადგეს მწყობრში მეტროპოლიტენის ახალი კილომეტრები და ახალი სადგურები. მათ შორის არის მებეტონე ვალერი მკავიაც.

მისი ბიოგრაფია წყლის წვეთივით ჰგავს ათასობით თანატოლისას. სკოლა, არმიაში სამსახური... დემობილიზაციის შემდეგ სამტრედიელი ჭაბუკი მშობლიურ ნოღაში აღარ დაბრუნებულა — დედაქალაქს მოაშურა, „თბილისგვირაბმშენის“ კოლექტივს შეუერთდა და აგერ უკვე მეოთხე წელია მიწისქვეშა მაგისტრალი გაპყავს.

ბედმა გაუღიმა: თავიდანვე გამოცდილი, სახელოვანი ოსტატე-

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-2 ᲒᲕ.).

ᲨᲔᲕᲐᲛᲪᲘᲠᲝᲗ ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲗᲐ ᲐᲗᲕᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲕᲐᲓᲔᲑᲘ

ᲐᲛᲑᲐᲜᲐᲒ მ. ს. გორბაჩოვმა თავის სიტყვაში დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ერთხელ კიდევ შეგვახსენა, რომ ყველა მიმართულებით დაჩქარებულ წინსვლას შეარი საფუძველი შეიძლება შეექმნას მხოლოდ ეკონომიკაში ძირეული ცვლილებების ბაზაზე. თვით გარდაქმნაც მაშინ განაღდება მთელი ძალით, როცა იგი ძირფესვიანად შეძრავს სახალხო მეურნეობას, ეს კი თავის მხრივ საჭიროებს სამეურნეო მექანიზმის, ეკონომიკის მართვის მთელი სისტემის ღრმა გარდაქმნებს.

ეკონომიკის გარდაქმნასთან დაკავშირებული საკითხები იყო აგრეთვე წინა პლანზე წამოწეული ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის სიტყვაში ქალაქ შერმანსკში გამართულ საზეიმო სხდომაზე, რომელიც ამ ქალაქისათვის ლენინის ორდენისა და „ოქროს ვარსკვლავის“ მედლის გადაცემას მიეძღვნა. მან აღნიშნა, რომ იმ გარკვეულ სასიკეთო ცვლილებებთან ერთად, რომლებიც ბოლო დროს მრეწველობაში, კაპიტალურ მშენებლობაში ხდება, გვაქვს ჩამორჩენაც, საზი გაუსვა იმას, რომ განსაკუთრებით გვაწუხებს მანქანათმშენებლობის მდგომარეობა, სადაც მიმდინარეობს ღრმა მოდერნიზაცია, და ჩვენ აუცილებლად უნდა დავძლიოთ შექმნილი სიძნელეები, უზრუნველყოთ საქმის წარმატება.

დიახ, ეკონომიკის წინსვლა ეფუძნება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, ხოლო ეს უკანასკნელი მანქანათმშენებლობის განვითარებას ეყრდნობა. ეს აზრი ნოემელ ზოლად გასდევს სკკპ XXVII ყრილობის, მისი მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებს. ამაზეა გამახვილებული ყურადღება პარტიისა და მთავრობის მიერ ბოლო ხანს მიღებულ მთელ რიგ დადგენილებებში, სხვა დოკუმენტებში.

მრეწველობის ნამყვან დარგში — მანქანათმშენებლობაში შექმნილი საერთო არასახარბიელო მდგომარეობა, რომელზეც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, ცხადია, ჩვენს რესპუბლიკასაც ეხება. მიმდინარე წლის ცხრა თვის მონაცემებით, მანქანათმშენებლობის კომპლექსის საწარმოების პროდუქციის განახლების ტემპი არ არის საკმარისი. ამ მაჩვენებელმა გეგმით გათვალისწინებული 4,9 პროცენტის ნაცვლად 4,1 პროცენტი შეადგინა. იმ ჩვიდმეტი გაერთიანებიდან და საწარმოდან, რომლებსაც მიცემული ჰქონდათ პროდუქციის განახლების დავალებანი, გეგმას თავი გაართვა მხოლოდ რვამ. ჩამორჩნენ ამ მხრივ თბილისის „ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘᲡ“, „ᲡᲐᲥᲔᲚᲣᲠᲡᲐᲗᲕᲘᲡ-ᲥᲐᲜᲘᲡ“ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ, „ᲡᲐᲥᲡᲝᲒᲠᲐᲤᲘᲡ“ ᲡᲐᲛᲔᲪᲘᲔᲠᲝ-ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲨᲔᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ, ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲘᲡᲔᲗᲔᲑᲘᲗᲘᲪ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲨᲘᲪ ᲐᲠᲐᲡᲐᲮᲐᲠᲑᲘᲔᲚᲝ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ. ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘᲧᲝᲡ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲗᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲬᲝᲠᲘ ᲠᲘᲒᲘ ᲓᲐᲜᲘᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲡᲐᲮᲐᲠᲑᲘᲔᲚᲝ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲘᲚᲝᲛᲐᲢᲣᲠᲘ ᲓᲐᲜᲘᲠᲗᲣᲚᲘ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔ�გᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡᲘ. ᲐᲛ ᲛᲐᲒᲕᲘᲗ ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲗᲓᲝᲗ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲗᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ.

ᲩᲕᲔᲜ ᲙᲘᲓᲕᲔᲒ ᲕᲘᲛᲔᲝᲠᲔᲑᲗ: ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲓᲐᲕᲐᲬᲧᲐᲠᲝᲗ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲗᲐ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐ

ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲡ ᲛᲝᲒᲔᲑᲐ ᲛᲝᲐᲥᲕᲡ

ᲐᲛ ᲒᲘᲚᲝ ᲮᲐᲜᲘ გარდაბნის რაიონის კრწანისის მეღორეობის კომპლექსში მრავალი სიახლე დაინერგა, რამაც ხელი შეუწყო წარმოების და შრომის ნაყოფიერების ზრდას. კერძოდ, მეორე წელია რაც დაინერგა ბეკონური ხორცის წარმოება, რამაც საწარმოს ათიათასობით მანეთის მოგება მისცა.

ხორცის წარმოების მატების საუკეთესო საშუალებად აქ სექციური მუშაობა მიაჩნიათ. ამიტომაც კომპლექსმა მტკიცე საქმიანი ურთიერთობა დაამყარა საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის მეცხოველეობის კათედრასთან. მისი უშუალო დახმარებით ყველაზე პერსპექტიულ „ლიტვურ თეთრთან“ და „მსხვილ თეთრთან“ შეაჯვარეს უცხოური „ლანდრასის“ ჯიში, მათგან მიღებული თაობა კი ამერიკულ „დიროკთან“. ეს კრწანისელებს საშუალებას მისცემს ნაკლები შრომითი დანახარჯებით ამოკამად აწარმოონ ათი-თორმეტი პროცენტით მეტი ხორცი, ვიდრე სიახლის დანერგვამდე.

როგორია ამ და სხვა სასიკეთო სიახლეებში აქური კომუნისტების, პარტიული ბიუროს როლი, რას და როგორ აკეთებენ მუშაობის გარდაქმნისათვის კრწანისელი პარტიელები და როგორია ამის შედეგები? — აი, ძირითადად ამ საკითხებს მიაქციეს განსაკუთრებული ყურადღება კომპლექსის პარტიული კრების მონაწილეებმა, რომლებმაც მოისმინეს პარტიული ბიუროს ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

კომუნისტები, თქვა თავის გამოსვლაში კომპლექსის მთავარმა სპეციალისტმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა ზოოტექნიკოსმა, შრომის ვეტერანმა ე. მელიქიშვილმა, მარდლაც მოხდომებით იღვწიან წარმოების წინსვლის ოპტიმალური გადაწყვეტების მიგნებისათვის. მე რომ კაცმა კეთხოს, სწორედ ეს არის საქმით გარდაქმნის განსტაკიცება, თქვა მან და ნათქვამის სილუსტრაციოდ ასეთი ფაქტები მოიყვანა. ახლა აქ ჰყავთ წლიური გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით ასობით ტონა ხორცი ღორი, ხოლო შარშანდელთან შედარებით — 2159-ით მეტი. გადაჭარბებით შესრულდა ნამატის მიღების დავალება, წონამატებაც საგეგმოზე მეტია. აქ აწარმოვეს 1300 ტონა ხორცი, რაც გეგმით გათვალისწინებულ ორმოცდაათი ტონით აღემატება. ცხადია, დიდი გადაჭარბებით არის შესრულებული სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის დავალებაც.

—უფრო მნიშვნელოვანი კი ის არის, — თქვა კომპლექსის მექანიკოსმა შ. მენთეშაშვილმა, — რომ ხორცის ხარისხის გაუმჯობესების მაჩვენებელი მიღწეულია პირუტყვის საკვების რაციონალური გამოყენებისა და მომსახურე პერსონალის რიცხვის შემცირების პირობებში. სხვა მნიშვნელოვან სიახლეებთან ერთად წელს პირველად გამოვიყენეთ ღორებისათვის საკვების მიწოდება სალაფავის სახით. ამ სიახლის დანერგვაში დაგვეხმარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოქიმიის კათედრის გამგე, პროფესორი ნ. ალექსიძე, რომელიც ჩვენი კომპლექსის შეფია და აქტიურად მონაწილეობს მის გაფართოებასა და მეცნიერული სიახლეების დანერგვაში. ამ წესით მომზადებულ საკვებს პირუტყვი ინტენსიურად ითვისებს და სწრაფად სუქდება. კარგი ეფექტი მოგვცა აგრეთვე ქუბების ეგრეთ წოდებული ბანაკური შენახვის სისტემის დანერგვამ. ამ მეთოდის თავისებურება ის არის, რომ ზაფხულში ქუბები გამვებული ჰყავთ და პირუტყვიც ლაღად გრძნობს თავს. კომუნისტები გამოვიდნენ აგრეთვე ინიციატივით მოეწყოთ ქუბების ხელოვნური დათესვლა. ამის მეოხებით მკვეთრად შემცირდა პირუტყვის ბერწიანობა და, რაც მნიშვნელოვანია, ხელსაყრელი ვითარება იქმნება იმისათვის, რომ ქუბმა გოჭები ნებისმიერ თვეში დაყაროს. ეს უზრუნველყოფს ხორცის რიტმულ, უწყვეტ წარმოებასა და მოსახლეობისათვის მიწოდებას.

— კრწანისელი კომუნისტები აღმავლობის ძლავრ ბერკეტად მიიჩნევენ აგრეთვე შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის შემტკიცებას, კოლექტიური და საოჯახო იჯარის ფართოდ დანერგვას, — განაცხადეს საიჯარო ბრიგადის ხელმძღვანელმა ა. გოგრიასელაშვილმა და ოპერატორმა შ. ციხელაშვილმა, — კომპლექსში ახლა შემქმიელს თორმეტი საიჯარო ბრიგადა. ისინი საჩეკო სისტემით მუშაობენ. იჯარა კი ჯერჯერობით დანერგილია შვიდ ოჯახში. კრებაზე ითქვა, რომ ეს ცოტაა. მით უმეტეს, რომ ყველა დარწმუნდნენ ამ მეთოდის სიკეთეში. ავიღოთ თუნდაც ლამარა გასვიანის მაგალითი, რომელმაც საგეგმოზე 48 გოჭით მეტი მიიღო. ჯეროვნად შეფასდა მომვლელის შრომაც: გასამრჯელოდ 2.500 მანეთამდე თანხა ხვდა. გაისად საოჯახო იჯარა უფრო ფართოდ უნდა დაინერგოს, ჩაიწერა კრების დადგენილებაში.

კრწანისელმა კომუნისტებმა, რომლებიც წარმოების ავანგარდში დგანან, შეაჯამეს რა გაწეული მუშაობა, დიდი ყურადღება მიაქციეს ნაკლოვანებებს, გადაუჭრელ პრობლემებს, კრიტიკას არც ერთი ორატორი არ მორიდებია. კრიტიკული და თვითკრიტიკული იყო პარტბიუროს მოხსენებაც, რომლითაც გამოვიდა მისი მდივანი დ. ცხოვრებაშვილი.

თუ მატერიალური წახალისება კოლექტივის წევრებს არ აკლიათ, ითქვა კრებაზე, მეტად უნდა ვიზრუნოთ მათი მორალური სტიმულირებისათვის. კომუნისტებმა აღნიშნეს, რომ პარტბიურო საამისოდ ყველა იყენებდა არსებულ შესაძლებლობებს. სათანადოდ არ მუშაობდა იგი კომკავშირულ ორგანიზაციასთანაც. ამის შედეგიც არის, რომ პარტორგანიზაცია სუსტად იზრდება მოწინავე კომკავშირელების ხარჯზე. კომუნისტების საგრძნობი ნაწილი გულისყურით არ ეკიდება პარტიული დავალების შესრულებას, ზოგი პარტიულ კრებებზე სიტყვითაც კი არ გამოდის. სამაგიეროდ ჰყავთ „შტატიანი ორატორები“, რომელთა გვარებით აჭრელებულია ოქმები. ერთი სიტყვით, პარტიული გავლენა კოლექტივზე უნდა გაძლიერდეს, ასეთი იყო კომუნისტების ერთსულოვანი მოთხოვნა.

კრებაზე სხვა სატკივარიც არ დავიწყებიათ. მართალია, აქ რეზერვების ფართოდ უხსნიან გზას, მაგრამ ყველაფერი კოლექტივზე როდია დამოკიდებული. ყველაზე დიდი რეზერვია კომპლექსის მეორე რიგის ამოქმედება, რაც გვაინდება საქაგრომშენის შესაბამისი სამსახურების მიერ საქმის გაჭიანურების გამო. რაც შეეხება მშენებლობის ხარისხს, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. დედაქალაქის საზოგადოებრივი კვების საწარმოები კომპლექსს დაგეგმილი სორსაათის ნარჩენების მეოთხედსაც კი არ აწვდიან. უკანასკნელ ხანს მისი მიწოდება გაზრდის ნაცვლად შემცირდა, ეს ამვირებს პროდუქციას, დაუტვირთავია საკვებგადამმუშავებელი საამქრო. საქმე ის არის, რომ ამ საკითხს არსად და არავინ კონტროლს არ უწევს, და საზკვების ქსელის მუშაკები კომპლექსისათვის მისაცემ ნარჩენებს თავად ყიდიან კერძო პირებზე. კომპლექსს უჭირს აგრეთვე ავტოტრანსპორტი, სხვა ტექნიკა და სათადარიგო ნაწილები.

კომუნისტები შეეხნენ მომსახურების სფეროსაც. აღნიშნეს, რომ კომპლექსს დიდი მოგება აქვს, რომლის საკმაო ნაწილი ხმარდება საბინაო მშენებლობას. კრწანისელის ისტორიულ ველზე გაჩნდა შესანიშნავი დასახლება, სადაც ათობით ოჯახი ცხოვრობს, მაგრამ გულსატკენია, რომ მას წლების მანძილზე სახელიც ვერ შეურჩიეს და სოფლად არ „მონათლეს“. კომპლექსის ძალებით აშენდა სავაჭრო მომსახურების ობიექტები, მაგრამ შიგ საოცარი სიცარიელეა, დეფიციტურ საქონელს ვინ დაიქეს, პირველი მოთხოვნილების საგნებიც კი შეფერხებით შემოაქვთ. გარდაბნელი კოოპერატორები ჩვენს სატკივარს არად აგდებენ, ვერც კარგი საყოფაცხოვრებო მომსახურებით დავიკვეხნით, მხოლოდ ავტობუსების მომსახურებით არა ვართ უკმაყოფილნიო, ითქვა კრებაზე.

კრწანისელი კომუნისტების ამ საქმიანმა შეკრებამ ცხადყო, რომ ისინი ჯერჯერობით კარგად ართმევენ თავს დაკისრებულ მოვალეობას და შემდგომშიც ძალ-ღონეს არ დაიშურებენ უკეთ მუშაობისათვის.

დ. ᲑᲘᲬᲐᲫᲔ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲒᲣᲨᲘᲜ, ᲓᲦᲔᲡ, ᲮᲕᲐᲚ

ᲤᲐᲥᲢᲘ ◆ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ ◆ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

ᲓᲠᲝ, გარდაქმნის მასშტაბური ამოცანები უდიდეს მოთხოვნებს უყენებს ყველა დარგს, ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს, გამონაკლისი, რასაკვირველია, არც მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების სისტემაა, პროპაგანდისტთა გადასამზადებელი

ᲖᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘ

გაიმართა ქ. გორში, რომელშიც გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის, ბორჯომის, ადიგენის, ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქის რაიონების პროპაგანდისტები მონაწილეობდნენ. სემინარი სწორედ მათ წინაშე შემდგომი ამოცანების უფრო ახლოს გაცნობას და დაკონკრეტებას ისახავდა.

სემინარის მონაწილენი საწარმოო გაერთიანება „დილის“ სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში დაესწრნენ საჩვენებელ მეცადინეობას, სადაც ინსტიტუტის დირექტორმა ო. სპარსიაშვილმა ჩაატარა მეცადინეობა თემაზე — — „მართვის სისტემის და მეურნეობრიობის მეთოდების სრულყოფა“.

▼▼

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲮᲐᲚᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔᲓ ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲚᲝᲑᲘᲡ

საკავშირო ოლიმპიადის „სტუდენტი და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის“ მესამე დასკვნითს ტურს ესთტიკაში.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს და ალკ ცენტრალური კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილების საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი სკოლების საბაზო ინსტიტუტებიდან მეთორმეტე ხუთწლედში მხოლოდ თეატრალური ინსტიტუტი დატოვეს ოლიმპიადის მოსაწყობად.

ოლიმპიადაში მონაწილეობენ: რსფსრ, უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთის, ყაზახეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის, ლიტვის, მოლდავეთის, ლატვიის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, სომხეთის, თურქმენეთის, ესტონეთის და ქალაქების მოსკოვისა და ლენინგრადის დელეგაციები.

ოლიმპიადა გუშინ დაიწყო.

ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲘᲡ ᲓᲐᲨᲕᲐᲠᲘ

ᲠᲬᲛᲔᲜᲘᲗ ᲮᲕᲓᲔᲑᲐ ᲮᲕᲐᲚᲘᲜᲓᲔᲚ ᲓᲦᲔᲡ



(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

ბის მხარდამხარ მოუწია შრომა — ჯერ პ. ჯოველიძის, შემდეგ კი თ. გოგიაშვილის ბრიგადაში. სიბეჯითით, საქმის სიყვარულითა და დაუზარებლობით თანდათან მოიხვეჭა ავტორიტეტი. დღეს ვალერი მკავია 32-ე სამშენებლო რაზმის პირველი უნის მოწინავე მებეტონეა. შარშან სკკპ რიგებში მიიღეს.

მუყაითი ჭაბუკი შრომასთან სწავლასაც კარგად ათავსებს — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო ფაკულტეტის ხიდებისა და გვირაბების სპეციალობის სალაზო განყოფილების მესამე კურსის სტუდენტია. ოჯახიც სანაქებო შექმნა. მანანა იაკობიშვილი გაისად დაამთავრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტს. სტუდენტური ოჯახი ჯერჯერობით ბაგების სტუდენტთა ქალაქში ცხოვრობს. სამი წლის დიმიტრი საბავშვო ბაღში უცდის ხოლმე დედის ლექციიდან და მამის სამუშაოდან დაბრუნებას.

იმედით, რწმენით ხვდება ყოველ ახალ დღეს კომუნისტი ვალერი მკავია. ეამაყება, რომ წვლილი შეაქვს ქვეყნის აღმშენებლობაში, რომ მისი შრომითი ბიოგრაფიის პირველი თვეები ახლა იწერება, როდესაც ჩვენი საზოგადოება თავისი ისტორიის უაღრესად პასუხსაგებ ეტაპზე — განახლების, გარდაქმნის ეტაპზე იმყოფება.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲗᲐᲜ: ვ. მკავია სამუშაო უბანზე (I გვერდი); მ. იაკობიშვილი ლექციაზე; საკვირაო გასეირნება.

ᲤᲝᲢᲝ. ᲒᲘᲜᲒᲘᲣᲠᲘᲡ

ᲥᲛᲔᲓᲘᲗᲝᲑᲐ

ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲓᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐᲡ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗ „კომუნისტის“ 6 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებული იყო წერილი „რა აფერხებს სიახლეთა დანერგვას“, რომელიც სოფლის მეურნეობაში მეცნიერების მოწინავე გამოცდილებისა და ახალი ტექნიკის დანერგვის საკითხებს ეხებოდა.

აღნიშნულ წერილთან დაკავშირებით რედაქციას უპასუხებს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ფ. დუღაშვილი.**

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების შექმნამდე რაიონულ რგოლში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში არ იყო პიროვნება, რომელსაც უშუალოდ დაეკისრებოდა პასუხისმგებლობა სიახლისა და მეცნიერული რეკომენდაციების დანერგვისათვის. სადღეისოდ ჩვენს რესპუბლიკაში ფუნქციონირებს საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის მეცნიერული უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს სამსახური, რომელიც აერთიანებს რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებში მოქმედ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვის ქვედანაყოფებს.

აღნიშნული ქვეგანაყოფები მოწოდებული არიან ორგანიზაცია გაუწიონ რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებათა საწარმოებში მეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევების დანერგვას, დაეხმარონ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვისაკენ პასუხისმგებელ სპეციალისტებს. ბოლო წლებში საგრძნობლად განმტკიცდა კავშირი წარმოებასა და მეცნიერებას შორის, მაგრამ ზოგიერთი საკითხი მთლიანად არ არის მოგვარებული. აღნიშნულ სამსახურებში კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს მომთხოვნელობა.

საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის მოვიწვიეთ წერილის ავტორი — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი ი. კიკაბიძე, რომელმაც წამოაყენა წინადადება, რომ ტელევიზიის მეშვეობით მოეწყოს შეხვედრა „მრგვალ მაგიდასთან“ დარგის მუშაკების, მეცნიერებისა და გამოცდილი მექანიზატორების მონაწილეობით.

აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად მზად არის საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი.

საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი, რესპუბლიკის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის შესაბამის სამსახურთან ერთად გარკვეულ მუშაობას ეწევა მეცნიერული რეკომენდაციების მოწინავე გამოცდილებისა და ახალი ტექნიკის გამოვლენისათვის, სათანადო რეკომენდაციას უწევს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებში ასასახავად და სისტემატურ კონტროლს უწევს მათს შესრულებას.

1986 წლის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებში სოფლის მეურნეობის დარგიდან 47 დასანერგავი ღონისძიება შევიდა, რომელთა ეკონომიკური ეფექტი 7 მილიონი მანეთია. 1987 წელს გათვალისწინებულია 59, ხოლო 1988 წლისათვის 60 ღონისძიება, რომელთა ეკონომიკური ეფექტი შესაბამისად 29 და 30 მილიონ მანეთს მიაღწევს.

ჩვენ მიერ განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, ჯერ კიდევ ბევრია მოსაგვარებელი საკითხები მეცნიერების მიღწევების დანერგვის საქმეში, რისთვისაც მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის შესაბამის სამსახურთან ერთად მომავალში კიდევ უფრო გააძლიერებს მუშაობას და კონტროლს.

რედაქციამ ი. კიკაბიძის წერილის გამო აღნიშნული პასუხი მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტისაგან დიდი დაგვიანებით მიიღო. ამ საკითხზე თავისი მოსაზრების გამოთქმას ვთხოვდით აგრეთვე აგროსამრეწველო კომიტეტს, საიდანაც ყოველგვარი ვადის გასვლის მიუხედავად დღემდე არაფერი უცნობებიათ.

ᲨᲔᲕᲐᲜᲝᲜᲐᲡᲬᲝᲠᲝᲗ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐ-ᲛᲘᲬᲝᲓᲔᲑᲐ

ᲐᲛᲮᲡᲜᲐᲒᲛᲐ ვ. ს. გორბაჩოვმა თავის მოხსენებაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს ერთობლივ საზეიმო სხდომაზე აღნიშნა, რომ ყველა მიმართულებით დაჩქარებულ წინსვლას მყარი საფუძველი შეიძლება შეექმნას მხოლოდ ეკონომიკაში ძირითადი ცვლილებების ბაზაზე. თვით გარდაქმნაც მხოლოდ მაშინ გაჩაღდება მთელი ძალით, როცა იგი ძირფესვიანად შეძრავს სახალხო მეურნეობას.

ეს სავსებით ეხება მრეწველობის ისეთ უმნიშვნელოვანეს დარგს, როგორიც სახალხო მეურნეობის საგნების წარმოებაა. ეკონომიკის სამოძმობრივი სექტორში შეიმჩნევა წინსვლა, მაგრამ ძირფესვიან ძვრებამდე ჯერ შორსა ვართ. საქმე ის არის, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ არადამაკმაყოფილებლად შეიფასა სახალხო მეურნეობის საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს კომპლექსური პროგრამის შესრულების მიმდინარეობა.

ამ მიმართულებით არასახარბიელო მდგომარეობაა როგორც მთლიანად ქვეყანაში, ისე ჩვენს რესპუბლიკაშიც. სამეურნეო მექანიზმის ახალ პირობებში ვერც ვაჭრობამ გარდაქმნა მუშაობა, მისი ზემოქმედება მრეწველობაზე არ არის საკმარისი.

მრეწველობისა და ვაჭრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოსაგვარებელი საკითხია მომხმარებელთა მოთხოვნისა და წარმოებული საქონლის ოაოდენობრივ-ხარისხობრივი სტრუქტურის შეწონასწორება. სამწუხაროდ, მრავალი სახეობის სასურსათო და არასასურსათო საქონლის მოთხოვნა-მიწოდებაში ძალზე შესამჩნევია დისპროპორცია. სასურსათო და არასასურსათო საქონლის მომხმარება ახლა რესპუბლიკაში ნორმატივების მხოლოდ 40-80 პროცენტს აღწევს და ამით მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებით საშუალო საკავშირო დონეს.

საქონლის ასორტიმენტის გაფართოების და ხარისხის გაუმჯობესებისათვის უწინარესად საჭიროა მრეწველობისა და ვაჭრობის მართვის ერთდროული სრულყოფა. ესე იგი საამისოდ როგორც წარმოებაში, ისე მიმოქცევის სფეროში უნდა მომზადდეს სათანადო ღონისძიებათა პროგრამა. დღეს მრეწველობაში პროდუქციის წარმოების ყველა საარსებო სტადიაზე ხორციელდება საქონლის ასორტიმენტისა და ხარისხის მართვის პროგრამა. თუმცა, როგორც გამოკვლევები ადასტურებს, არასტანდარტული და წუნიანი ნაწარმის გამოშვების 80-90 პროცენტი განპირობებულია ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევით. წუნდებულია მსუბუქი მრეწველობის ყოველი მეოთხე ნაწარმი, ყოველი მესამე ფერადი ტელევიზორი და მეექვსე მაგნიტოფონი, მრავალი სახეობის საყოფაცხოვრებო ტექნიკა ჯერ კიდევ საგარანტიო დროის ფარგლებში საჭიროებს რემონტს. წუნიანი სახალხო მოხმარების საქონლის დამზადებით სახელმწიფო ყოველწლიურად 750 მილიონ მანეთს ზარალობს. ამის მიზეზია ასორტიმენტისა და ხარისხის მართვისადმი უწყებრივი მიდგომა. არსებული წესის მიხედვით, მაგალითად, სრული სამეურნეო ანგარიშის შემოღებამდე საწარმოებს უფლება ჰქონდათ პროდუქციის მიწოდების გეგმა შეესრულებინათ 97 პროცენტით. ჯერ კიდევ ბევრია ისეთი ფაქტი, როდესაც საწარმოების მუშაობას ძველებური მეთოდებით აფასებენ და არ ითვალისწინებენ პროდუქციის ვალდებულებით მიწოდების შესრულების აუცილებლობას. საქონლის ასორტიმენტისა და ხარისხის მართვის სისტემაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ვაჭრობას, მაგრამ სინამდვილეში მისი მონაწილეობა ამ საქმეში ფორმალურია.

ამიტომ მრეწველობასა და ვაჭრობას შორის სამეურნეო კავშირთა ურთიერთობის გარდაქმნის საფუძველი უნდა გახდეს საქონლის ასორტიმენტისა და ხარისხის მართვის სრულყოფა. ზუსტად უნდა განისაზღვროს ერთიანი პროგრამა, რომელიც უწყვეტად იმოქმედებს მართვის ყველა სტადიაზე (მოთხოვნის შესწავლა, პროგნოზირება, ტრანსპორტირება, შენახვა, რეალიზაცია). მართვის ამ პროცესში ვაჭრობის როლის ზრდა მოითხოვს გაძლიერებული პასუხისმგებლობით ვეკედლებოდეთ სახალხო მოხმარების საქონლზე დასაბუთებული განაცხადებისა და შეკვეთების დამუშავებას. დამამზადებელი საწარმოების მუშაობა უნდა შეფასდეს სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების მიხედვით. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმზე და სკკპ XXVII ყრილობაზე დიდი ყურადღება დაეთმო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების მასსმალურ დანერგვას მსუბუქ მრეწველობასა და ვაჭრობაში.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და საქონლის ხარისხი მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება აჩქარებს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს და პირიქით — მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი უზრუნველყოფს საუკეთესო ხარისხის პროდუქციის დამზადებას. როგორი ვითარებაა ამ მხრივ სახალხო მოხმარების საქონლის მწარმოებელ დარგებში? არასახარბიელო. თანამედროვე მოწყობილობა მხოლოდ 20 პროცენტით შეესაბამება მსოფლიო მიღწევების დონეს, კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა ჩვენს რესპუბლიკაში.

მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები მასშტაბურად უნდა გამოვიყენოთ არა მარტო ტექნოლოგიაში და ნედლეულის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, არამედ პროდუქციის ხარისხის კონტროლის პროცესშიც. ტექნიკური კონტროლი ტექნოლოგიური პროცესების შემადგენელი ნაწილია. ახალი წესის თანახმად, სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტი ახორციელებს ატესტაციის შედეგების 100-პროცენტიან ექსპერტიზას. სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ორიენტაციას დამოკიდებული უნდა იყოს მისი დამზადების მოწონებივ მეთოდებზე, ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაციის მაღალ დონეზე, მოსახლეობის, მოთხოვნებთან დაკავშირებულ პროგრესულ ძვრებზე.

მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილების მხრივ განსაკუთრებული ადგილი უკავია მსუბუქ მრეწველობას. მიმდინარე ხუთწლედში ამ დარგმა 2,5-ჯერ უნდა გაზარდოს წარმოების მოცულობა და მკვეთრად გაუმჯობესოს პროდუქციის ხარისხი. ფაქტები მოწმობს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება მსუბუქი მრეწველობის განვითარების თაობაზე შეუწყნარებლად ნელა სრულდება. მარტო ჩვენს რესპუბლიკაში ვაჭრობის საწყობებში დაგროვდა 100 მილიონი მანეთის საქონელი, საქონელბრუნვაში ვერ მოექცა 400 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების საქონლის მარაგი, გამოშვებული პროდუქციის მესამედი უხარისხოა. დაბალია დარგში სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების დანერგვის დონე, მეტად ნელა ინერგება მიკროპროცესორები.

სახალხო მოხმარების საქონლის ასორტიმენტისა და ხარისხის ფორმირებაზე ვაჭრობის ზემოქმედების ეფექტიანობის გადიდება ერთ-ერთი აქტუალური ამოცანაა. პარტიის ზემოხსენებულ დადგენილებაში იმაზეც არის ლაპარაკი, რომ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების, მისი ასორტიმენტისა და ხარისხის გეგმების საფუძველია ვაჭრობის შეკვეთები, რომელთა ფორმირებაც ხდება საბითუმო ბაზრობაზე.

ვაჭრობის შეკვეთებისა და სამეურნეო ხელშეკრულების გაფორმება წინ უნდა უსწრებდეს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გეგმების დამტკიცებას. ეს წესი ადრე ხშირად ირღვეოდა. ახალი პირობებით დამამზადებელი საწარმოები სავაჭრო ორგანიზაციებთან პირდაპირ ხანგრძლივ სახელშეკრულებო კავშირურთიერთობაზე უნდა გადავიდნენ. საწარმოებისათვის საჭირო ნედლეულის, მასალებისა და ფურნიტურის ბაზრობები მოეწყობა ერთი თვით ადრე საქონლის გაყიდვის ბაზრობებთან შედარებით.

საქონლის ასორტიმენტის გაფართოება ხარისხის გაუმჯობესების პრობლემის შემადგენელი ნაწილია. საასორტიმენტო პოლიტიკის განხორციელების მიზანია საზოგადოებრივი მოთხოვნებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნების ერთიანობა. ასეთ ერთიანობას ადგილი ეკუთვნის ეროვნულ-ეკონომიკურ ბალანსებში, ოლონდ ეს ბალანსები ეფუძნებოდეს ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდას, ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობა ეფუძნებოდეს ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდას, ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობა ეფუძნებოდეს ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდას.

ეს ეფექტიანობა ეფუძნებოდეს ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდას, ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობა ეფუძნებოდეს ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდას.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲤᲔᲠᲝ

ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘ

ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘᲡᲐ იჯარამ ხელი შეუწყო შინაგანი რეზერვების გამოვლინებასა და ამოქმედებას, მაგრამ შრომის ორგანიზაციის ამ პროგრესულ ფორმას ჯერ კიდევ გაბედულად ვერ იყენებენ. ზოგან, სადაც ამ მეთოდით მუშაობენ, ანაზღაურებაში გათანაბრების აღმოფხვრა, შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის დადგენა უჭირთ, რადგან ეს საკითხები თეორიულად სათანადოდ არ არის დამუშავებული.

ცხოვრებამ დაგვანახვა, რომ იჯარულ კოლექტივში დროითი ავანსირების გამოყენება ყველგან ხელსაყრელი როდია. ეს ფორმა ხელს არ აძლევს უპირველესად იმ მრავალრიცხოვან საწარმოო ქვეგანაყოფებს, რომლებიც განსხვავებული კვალიფიკაციის მუშაკებით არის დაკომპლექტებული.

დროითი ავანსირება თავის უპირატესობას ავლენს მხოლოდ გარკვეულ ორგანიზაციულ-ტექნოლოგიურ და სოციალურ პირობებში.

ამგვარი შესაძლებლობანი კი ყველგან არ არის, ამიტომ ზოგან ავანსირებაში გაჩნდა შრომის ანაზღაურების სანარდო სისტემის ელემენტები. საკმაოდ არის მოწინავე მეურნეობები, სადაც იჯარულ ბრიგადებში ავანსირება ხდება სანარდო ფორმით.

დადგენილია, რომ ხელით მომუშავეთა დღიური ავანსი III-V თანრიგის, ხოლო მექანიზატორებისა III-VI თანრიგის მიხედვით განისაზღვრება. ყოველთვიურად 25 სამუშაო დღეში ხელით მომუშავეთა ავანსი 100 მანეთს, ხოლო მექანიზატორისა (კლასისა და სტაჟისათვის დანამატის ჩათვლით) 200 მანეთს არ უნდა აღემატებოდეს. მიუხედავად ამისა, როგორც კავშირის მასშტაბით, ისე ჩვენ რესპუბლიკის იჯარულ ქვედანაყოფებში ხელით მომუშავეებს ხშირად ავანსი თვეში ეძლევათ 70-80 მანეთი, მექანიზატორებს კი 120-140 მანეთი. დროითი ავანსის შემცირების მიზეზად ზოგს ის მიაჩნია, რომ იჯარული კოლექტივები თავიდანვე საბოლოო შედეგით უნდა დაინტერესდნენ. ზოგი კი შემცირებული ავანსის გაკეთას საწარმოო ქვეგანაყოფების არარეალურ დაგეგმვას აბრალებს. მაგალითად, შრომის ანაზღაურების დებულების თანახმად, პროდუქციის წარმოებისათვის სატარიფო ხელფასის დანამატი იჯარული ქვეგანაყოფის წევრებს შესაძლოა მიეცეთ პროდუქციის წარმოების გეგმის 80 პროცენტით შესრულების შემთხვევაში. ხშირად კი იჯარულ ქვეგანაყოფებს პროდუქციის წარმოების იმდენად დაუბუთებ

ᲓᲐᲕᲐᲐᲠᲡᲝᲗ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

„ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲜᲐᲘᲐ“ გაზეთას“ 23 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა ცნობილი რუსი პოეტის ანდრია ვოზნესენსკის პუბლიცისტური წერილი „გუმი“, რომელშიც ავტორი ყოველგვარი შესავლის გარეშე იწყებს თავის მთავარ სათქმელს.

„მოსკოვს სჭირდება სულიერი კულტურის ტაძარი. პარიზს აქვს მინაში ჩასმული პომპიდუს ცენტრი, ნიუ-იორკში არის ლინკოლნ-ცენტრი. და მხოლოდ ჩვენ, სულიერად ამაღლებული სზოგადოების შემქმნელებს, არ გაგვაჩნია. იმიზეზებენ ხოლმე სიძვირესა და ქალაქის ცენტრში ადგილის უქონლობას“... „მაგრამ ხომ შეიძლება გამოვიყენოთ უკვე არსებული და ამ მიზნისათვის მშვენივრად მორგებული „გუმის“ შენობა?“ — იხვინერ სანნოვსკის სიტყვებს იშველიებს პოეტი და იქვე დასძენს:

„...წარმოვიდგინოთ კულტურის ახალი ტაძარი, რომელიც მოეწყობა დღევანდელი „გუმის“ შენობაში: პოეზიის ხმაურიანი აუდიტორიები, თეატრალური ფიცარნაგები, დისკუსიები... ახალგაზრდა მხატვრები მოაწყობენ გამოფენებს, მთელი თეატრალური ჯგუფები ერთი კარიდან მეორისაკენ მოუხმობენ მაყურებელს თავიანთ ახალგაზრდულ სტუდიებში. ხოლო, როდესაც სკოლადამთავრებულნი ახალი ტრადიციის თანახმად წითელ მოედანზე გამოვლენ, შენობის მინის თაღებქვეშ მათ ერთად მოუყრის თავს შუაღამის გამოსაშვები მეჯლისი. მოსკოვის გულში უნდა ფეთქავდეს თანამედროვე კულტურის ტაძარი!“

მშობლიური ქალაქისათვის ზრუნვის მსგავსი მაგალითი, ჩვეულებრივ, ყველა შეგნებული ადამიანის თანაგრძნობას იმსახურებს. მაგრამ ჩვენ ასე იოლად არ გვესახება ვოზნესენსკის იდეის განხორციელება: ვფიქრობთ, საკმარისზე მეტი ოპონენტი ეყოლება თავისივე თანამემამულეთა სახით, რომელთა ფსიქიკაშიც „გუმი“ მტკიცედ არის სავაჭრო დაწესებულებად დამკვიდრებული. თუმცა, რაღა მოსკოველებზე ვამბობთ, ჩვენს, რესპუბლიკაშიც შეიძლება ბევრს არ ესიამოვნოს „გუმის“ გაუქმება, განსაკუთრებით იმათ, ვისთვისაც მოსკოვის ღირსშესანიშნაობანი ამ შენობის კედლებში იწყება და იქვე მთავრდება.

მაგრამ გვწამს, რომ პოეტის ნება — მისივე ხალხის ყველაზე ნაფელი მიზანდასახულობის გამოხატულება — ყველა სიძნელეს გადალახავს და „გუმი“ კულტურის ტაძრად გადაიქცევა!

ოღონდ, რაკი გადაკეთება, საზოგადოდ, ერთობ რთული პროცესია, ვიდრე ქართველი პოეტიც დაჰკრავდეს ნაბათს, მოდით, არ გავიხადოთ გადასაკეთებლად საქმე: ამთავითვე ვიზრუნთო, რომ თბილისის მომავალი კულტურის ცენტრი (ჩვენს დედაქალაქს იგი ისევე სჭირდება, როგორც პარიზს, ნიუ-იორკსა და მოსკოვს) საკაჭრო დაწესებულებებიდან არ გაგვიხდეს გადასაკეთებელი. არადა, საქმეს სწორედ ასეთი პირი უჭირან: როგორც ეტყობა, გმირთა მოედანზე, ყოფილი აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის შენობაში დადგრსონ კულტურის ცენტრი! ვთხოვთ არქიტექტორებსა და დიზაინერებს ახალი დანიშნულების შესაბამისად გადაკეთონ პროექტი, ვთხოვთ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს უშუალო მონაწილეობა მიიღონ „მზიურის“ კომპლექსის გამოლიფინებაში.

თართო საზოგადოებრივ რეზონანსზე რომ არაფერი ვთქვათ, ეს ერთგვარი ვალის მოხდაც იქნება ნოდარ დუმბაძის ნათელი ხსოვნის წინაშე, რადგან ფრთას შეისხამს მისი ნოაცნებარი — მწერლის ინიციატივით მოზარდთათვის დაარსებულ ქალაქს დიდ კულტურულ-შემეცნებითს ღირებულებას შევძენთ.

ზ. ᲙᲣᲗᲐᲗᲔᲚᲐᲫᲔ,
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

ᲣᲑᲐᲜᲘ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲣᲒᲖᲝᲓ

ᲡᲐᲰᲘᲩᲘᲠᲘᲡ რაიონის ლამაზი სოფელი ჯალაურთა განთქმულია თავისი შრომისმოყვარე ადამიანებით. სწორედ მათი ნაყოფიერი გარჯისა და ზრუნვის შედეგად ამ ბოლო დროს ბევრი რამ გაკეთდა ამ „გზებიც კეთილმოეწყო, მაგრამ ბუღაძეებისა და ღამბაშიძეების უბნებს არაფერი ეშველა.

უგზოობის გამო ისინი კვლავ მოწყვეტილი არიან გარე სამყაროს. ყველაფერი იოლად მოგვარდებოდა სოფელ უსახელოზე გამავალი მთავარი ტრასიდან, ჯალაურთაზე გავლით, საჩხერის გზატკეცილთან შემაერთებელი გზა რომ გაეყვანათ. 20 წელწადია ითხოვს მოსახლეობა ამ გზის გაყვანას. რამდენჯერმე დაიწერა კიდეც ჭიათურის საქალაქო და საჩხერის რაიონულ გაზეთებში, მაგრამ საქმეს საშველი არ დაადგა; რამდენჯერმე კიდეც დაიწყეს გზის შენება, მაგრამ მიატოვეს. ეს გზა სამშენებლო ორგანიზაციებში ცნობილი იყო „№ 10 გზად“. არადა, ამ გზის გაყვანა სასარგებლო იქნებოდა არა მარტო ზემოთ დასახელებული უბნების ორასამდე მოსახლისათვის, არამედ ორი მეზობელი რაიონის — საჩხერისა და ჭიათურის ზემო სოფლების დაკავშირებისთვისაც.

ჯალაურთა საჩხერის რაიონს მიეკუთვნება ტერიტორიულად, მაგრამ მისი შრომისუნარიანი მოსახლეობის დაახლოებით 80 პროცენტი ჭიათურის მანგანუმის მრეწველობასა და მის საწარმო-დაწესებულებებში არიან დასაქმებული. მუშა-მოსამსახურეთა ოჯახებზე ზრუნვა, მათი საქიროებების გათვალისწინება საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ საზრუნავი უნდა იყოს, და ამიტომაც ეს ორგანიზაცია წამოიწყებდა ხოლმე აღნიშნული გზის მშენებლობას, მაგრამ სამშენებლო უწყების უსულგულო ხელმძღვანელობას არასოდეს ბოლომდე არ მიუყვანია იგი. უგზოობამ დიდი ვნება მიაყენა ამ უბნებს. ახალგაზრდობა თანდათან გიაკრიფა, მრავალშვილიანი ოჯახებიც კი იიყარა, გზიან ადგილებს მიაშურეს. საწარმოო გაერთიანების ხელმძღვანელები ხშირად უჩივიან მუშახელის ნაკლებობას. ამ გზის გაყვანით მრავალი ახალგაზრდა იმუშავებდა მაღაროში და სოფელში ექნებოდა ფესვი გადგმული, მაგრამ ამაზე არავის შესტკივა გული.

ახლა პარტია და მთავრობა მშრომელთა საქიროების დაკმაყოფილებას პირველ ადგილზე აყენებენ. დროა ეს გაითვალისწინონ საწარმოო გაერთიანებისა და რაიონის ხელმძღვანელებმა, სერიოზულად მიუდგნენ უგზოდ დარჩენილი უბნების მოსახლეობის მდგომარეობას, გაიგონ ხალხის სატკივარი და გაჭირვება. თუ გარდაქმნაა, გარდაქმნა იყოს, ნუღარ დავტოვებთ უგზოდ მოსახლეობას.

რ. ᲚᲐᲛᲑᲐᲨᲘᲫᲘ.

Ძ. ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ.

ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲗᲐ განმავლობაში კაცობრიობას არაერთხელ უცდია შეექმნა ერთი, საერთაშორისო დამხმარე ხელოვნური ენა.

„ხელოვნური ენა უფრო მარტივია და უფრო მიზანშეწონილი, — წერდა გერმანელი ქიმიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი ვილჰელმ ფრიდრიხ ოსტვალდი, — ...არსებობს ხელოვნური ინდიგო, და იგი გაცილებით უფრო წმინდაა და უკეთესი, ვიდრე ბუნებრივი. ასევე ხელოვნური ენაც უფრო მარტივი და უფრო მიზანშეწონილია“.

გეგმიანი „ხვლოვნური“ ენის შექმნით უძველესი დროიდან დაინტერესდნენ (პლატონი, კლავდიუს გალენი, რაიმონდ ლულია, ტომას მორი, კამპანელა, დეკარტი, ლაბნიცი, იან კომენსკი და სხვები). მ. შლაიერმა (1831-1912) შეიმუშავა ვოლაპიუკი. მან აიღო ევროპული ენების ძირები და მათი დეფორმაციით მიაღწია იმას, რომ კაცი ვერ მიხვდება საიდან არის აღებული ესა თუ ის სიტყვა. მაგალითად, თვით ენის სახელწოდება „ვოლაპიუკ“ წარმოდგება ინგლისური სიტყვებიდან: „ვორლდ“ (მსოფლიო) და „სპიოკა“, (ლაპარაკი). პირველი სიტყვა იქცა „ვოლ“-ად, მეორე — „პიუკ“-ად. თავიდან ამ ენას ბევრი მომხრე ჰყავდა, მაგრამ საბოლოოდ ვერ დამკვიდრდა.

დღემდე დამხმარე ენის შექმნის ათასამდე პროექტი არსებობს. ზოგი გეთავაზობს ერთი რომელიმე დიდი ეროვნული ენა საერთაშორისოდ გამოცხადდეს, ან რამდენიმე დიდი ენის — ინგლისურ-ფრანგულის, ინგლისურ-ესპანურის, ან ინგლისურ-რუსულის გაერთიანებით ერთი საერთაშორისო დამხმარე ენა შეიქმნას. ან კიდევ: არსებული ეროვნული ენების საუკეთესო ნიმუშების საფუძველზე შეიქმნას ხელოვნური ენა.

ენობრივი ბარიერი განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა მეცნიერებაში, სადაც სამეცნიერო ინფორმაციის სხვადასხვა ენიდან თარგმნა უდიდეს ხარჯებს იწვევს.

საქმე ის არის, რომ დღეს მსოფლიოში სამი ათასამდე ენაა. ასი წლის წინათ რამდენიმე ენის მცოდნე ადამიანს შეეძლო მსოფლიო მეცნიერების მიღწევთა საქმის კურსში ყოფილიყო. ახლა კი მეცნიერული ინფორმაციის სრულყოფილი გაცნობისათვის აღარ არის საკმარისი იცოდე რუსული, ინგლისური, ფრანგული, გერმანული, ესპანური, იტალიური, ან, თუ გნებავთ, ყველა ეს ენა ერთად, ვინაიდან დიდძალი სამეცნიერო ინფორმაცია ქვეყნდება შვედურ, პოლონურ, ჰოლანდიურ, დანიურ, ჩეხურ, უნგრულ და სხვა ენებზე. უაღრესად საინტერესო ლიტერატურაა ჩინურ, იაპონურ და არაბულ ენებზე. ყველა ამ ენის შესწავლა ერთი კაცისათვის შეუძლებელია. ამასთანავე, მსოფლიოს ხალხებს შორის ურთიერთობა სულ უფრო ფართოვდება, ენობრივი კონტაქტები იზრდება, ენები ვითარდება.

დაახლოებით 20 წლის წინათ აკადემიკოსი ა. ნ. ნესმეიანოვი წერდა: „თუ ქიმიკოსი, რომელმაც 30 ენა იცის (რაც დაუჯერებელია), 1964 წლის 1 იანვარს დაიწყებდა ყველა იმ პუბლიკაციის წაკითხვას, რომლებიც იმ წელს გამოქვეყნდა და მის პროფესიულ ინტერესს იწვევდა, კვირაში მოანდომებდა 40 საათს, საათში 4 პუბლიკაციის წაკითხვის სიჩქარით, 1964 წლის 31 დეკემბრისათვის იგი წაიკითხავ და ყველა პუბლიკაციის მხოლოდ ერთ მეოცედს“. და ეს მაშინ, როცა 1964 წელს მთელ მსოფლიოში ქიმიის დარგში მხოლოდ ექვსი ათასი პერიოდული გამოცემა იყო 36 ენაზე. დღეს კი მათი რიცხვი გაცილებით მეტია. ასევეა ბიოლოგიაში, ფიზიკაში, ასტრონომიაში და მეცნიერების სხვა დარგებში.

ამას ემატება ისიც, რომ ისეთ განვითარებულ ქვეყანაში, როგორიც იაპონიაა, მთელი სამეცნიერო ინფორმაცია ქვეყნდება მხოლოდ იაპონურ ენაზე, რის გამოც იგიც სხვა ქვეყნების მეცნიერთათვის ძნელად ხელმისაწვდომი ხდება.

დღეს გაერთიანებულ ერების ორგანიზაციაში ხუთი ოფიციალური საერთაშორისო ენაა: ინგლისური, ფრანგული, რუსული, ჩინური, ესპანური. ასეთივე უფლებებს დაიჩენებით მოითხოვენ იაპონური, გერმანული, არაბული ენებისათვის. ასეთ ვითარებაში შეუძლებელია ერთი რომელიმე ეროვნული ენა გახდეს საერთაშორისო, რადგან მაშინ ის ქვეყანა, რომლის ენა საერთაშორისოდ გამოცხადდებოდა, აღმოჩნდებოდა პრივილეგირებულ მდგომარეობაში. ეს გარემოება კი უარყოფით შედეგს გამოიწვევდა — ერთი ქვეყანა მიიღებდა ეკონომიკური და დიპლომატიური ექსპანსიის დიდ საშუალებას და, ალბათ, კიდევაც შეეცდებოდა ასეთი მდგომარეობის თავის სასარგებლოდ გამოყენებას. სხვას რომ თავი დავანებოთ, ერთ ხალხზე მეორე ენის გაბატონება ხომ ენობრივი დისკრიმინაცია იქნებოდა, რაც შეუთავსებელია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის დებულებებთან.

დღეს, თითქოს, ინგლისური ენის ცოდნა დიდძალი ინფორმაციას იძლევა, მაგრამ, ჯერ ერთი, ის სრულებით არ არის საკმარისი, მეორე, მისი შესწავლა არც ისე ადვილია (მისი ფონეტიკა, ორთოგრაფია), მესამე, ინგლისური ენა საკმაოდ გავრცელებულია მსოფლიოში, მაგრამ არც ისე ფართოდ. მაგალითად, ინდოეთში, სადაც ორი სახელმწიფო ენიდან ერთ-ერთი ინგლისურია, იგი მოსახლეობის მხოლოდ 2 პროცენტმა იცის. მართალია, ინგლისურ ენას საერთაშორისო ფორუმებზე დღეს პირველი ადგილი უჭირავს, მაგრამ, ენათმეცნიერთა აზრით, მან უკვე მიაღწია თავის „ზღვარს“. მისი როლი მსოფლიოში სულ უფრო ვიწროვდება განვითარებადი ქვეყნების ენების გაძლიერების კვალობაზე. ამრიგად, ვერც ინგლისური და ვერც სხვა ეთნიკური ენა ვერ შეძლებს მსოფლიოში ენობრივი ბარიერის გადალახვას.

ამრიგად, საჭიროა ერთი საერთაშორისო დამხმარე ენა. არა კაცობრიობის საყოველთაო ენა, არამედ საერთაშორისო დამხმარე ენა: მოწესრიგებული, ლოგიკურად დალაგებული, საერთაშორისო ტერმინოლოგიით აღჭურვილი. იგი საერთო-სახალხო ხასიათისა უნდა იყოს, მოიცავდეს ენობრივი ფუნქციის ყველა კომპლექსს, გასაგები იყოს არა მარტო მეცნიერთათვის, არამედ ყველასთვის. უნდა ემსახურებოდეს ლიტერატურის ყველა ჟანრს, საქიერთო და კერძო მიმოწერას. ამ ენაზე უნდა ეწყობოდეს რადიო და ტელეგადაცემები, თეატრალური დადგმები, იქმნებოდეს კინოფილმები.

ასეთი ენაა ესპერანტო, რომელიც უკვე ასი წელია წარმატებით იკაფავს გზას და ვითარდება. ესპერანტო შექმნილია არსებული ეროვნული (რომანული, გერმანულ-ინგლისური, სლავური) ენების საუკეთესო ნიმუშების საფუძველზე. სიტყვა „ესპერანტო“ ნიშნავს „იმედის მქონეს“, „მოიმედეს“. ასეთი სახელწოდებით ასი წლის წინათ, 1887 წელს, ვარშავაში გამოვიდა საერთაშორისო დამხმარე ენის „ესპერანტოს“ პირველი სახელმძღვანელო, რომლის ავტორ-შემდგენელი იყო პოლონეთში მცხოვრები ექიმი პოლოგლოტი ლუდვიგ ლაზარ ზამენჰოფი (1859-1917). იგი დაიბადა ქალაქ ბელსტოკში, სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტში, ცხოვრობდა პეტერბურგში, მუშაობდა ვარშავაში. „ესპერანტო“ იყო მისი ფსევდონიმი, ასეთივეა ამ საერთაშორისო ხელოვნური დამხმარე ენის სახელწოდებაც.

პირველი ესპერანტისტები იყვნენ რუსეთის, პოლონეთისა და გერმანიის დემოკრატიული ინტელიგენციის წარმომადგენლები. თუ XX საუკუნის დამდეგს ესპერანტოზე რამდენიმე ასეული ათასი კაცი ლაპარაკობდა, დღეს ათ მილიონზე მეტმა იცის ეს ენა. ზოგ ქვეყანაში (ბულგარეთი, ჩინეთი) ესპერანტოს საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში ასწავლიან. ჩინეთში ნახევარ მილიონზე მეტი კაცი ლაპარაკობს ესპერანტოზე. ეს ენა განსაკუთრებით ვრცელდება აზრის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში.

ამჟამად ესპერანტო მკვიდრდება მეცნიერების ყველა დარგში და მხატვრულ ლიტერატურაში. ესპერანტოზე შექმნილია მრავალფეროვანი ლიტერატურა, მათ შორის ორიგინალურიც. თარგმნილია კლასიკური მსოფლიო ლიტერატურის შედევრები, გამოიცემა პოლიტიკური ლიტერატურა—სსრ კავშირის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის კონსტიტუციები და სხვ. ამ ენაზე გამოდის ბევრი ჟურნალი და გაზეთი: „სამეცნიერო მიმოხილვა“ (მრავალ ქვეყანაში), „საერთაშორისო ქიმია“, „საერთაშორისო გეოლოგია“, „მშვიდობა“ და სხვა. ესპერანტოზე აქვეყნებდნენ თავიანთ ნაშრომებს ცნობილი მეცნიერები ს. ვ. ობრუჩევი, ვ. ოსტვალდი, ა. ე. ფერსმანი და სხვანი.

ესპერანტო საერთაშორისო კონფერენციებზე და სიმპოზიუმებზე კონფერენციოსთა, ეკოლოგთა და სხვათა ერთ-ერთი სამუშაო ენაა. სან-მარინოს რესპუბლიკაში 1981 წლიდან არსებობს საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემია, სადაც ძირითადი სამუშაო ენა ესპერანტოა.

ამჟამად შექმნილია ესპერანტისტთა 20-ზე მეტი საერთაშორისო ორგანიზაცია, 50 ქვეყანაში კი ეროვნული ორგანიზაცია. 1962 წელს მოსკოვში, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრული და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებასთან შეიქმნა საბჭოთა ესპერანტისტების საკავშირო კომისია, ხოლო 1979 წელს — საბჭოთა კავშირის ესპერანტისტთა ასოციაცია.

1983 წლის სექტემბერში თბილისში საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრული და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებასთან შეიქმნა საბჭოთა კავშირის ესპერანტისტთა ასოციაციის საქართველოს განყოფილება.

ერთ-ერთი პირველი ქართველი ესპერანტისტი იყო გ. ბაქრაძე, რომელიც იმხანად, როცა ესპერანტო იქმნებოდა, ვარშავაში სწავლობდა. 1910 წელს თბილისში გამოდიოდა „კავკასიის ესპერანტისტი“, რომელშიც დაიბეჭდა შიო არაგვისპირელის მოგონებები (გ. ბაქრაძის თარგმანი). 1911 წელს ესპერანტოზე ითარგმნა და ცალკე გამოქვეყნდა ე. ნინოშვილის „განკარგულება“ (მთარგმნელი — ტ. თაბუკაშვილი), 1912 წელს — „ბოგია უიშვილი“ (მთარგმნელი ვ. ახვლედიანი).

ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, მასწავლებელთა სახლში, ზოგიერთ საშუალო სკოლაში არსებობს ესპერანტოს შემსწავლელი წრეები და კურსები. დიდ მუშაობას ეწევა ქუთაისის პიონერთა სასახლის ესპერანტისტთა კლუბი ესპერანტოს შესანიშნავი მცოდნის ქ. ქაჯაიას ხელმძღვანელობით. ესპერანტოს სწავლობენ ბათუმში, სოხუმში და საქართველოს სხვა ქალაქებსა და რაიონებში. გამოქვეყნდა ზურაბ მაყაშვილის მიერ შედგენილი „ითა რუსთაველის აფორიზმები, გ. ტყეშელაშვილის „ესპერანტოს დამხმარე სახელმძღვანელო“, გამოსაცემად მზადდება კრებული „საქართველო დღეს“. ამას წინათ ვარშავაში გაიმართა ესპერანტოს ასი წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონგრესი, რომელსაც ესწრებოდა ქართველ ესპერანტისტთა ჯგუფი მ. ცუცქირიძის მეთაურობით.

ესპერანტოს არსებობის ასი წელი და მისი განვითარების პერსპექტივები განამტკიცებს რწმენას, რომ მომავალში იგი უთუოდ გადაიქცევა ჰუმანიტარულ საერთაშორისო დამხმარე ენად და დიდად შეუწყობს ხელს ხალხთა ურთიერთობის, მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებას.

Ი. ᲢᲐᲑᲐᲚᲣᲐ,
საბჭოთა კავშირის ესპერანტისტთა ასოციაციის საქართველოს განყოფილების პრეზიდენტი, პროფესორი.

ᲔᲡᲞᲔᲠᲐᲜᲢᲝ 100 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲓᲝᲜᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲟᲔᲜᲔᲕᲐ. აქ მოსკოვიდან ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე. ურთიერთმორიგების თანახმად, იგი შეხვდება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ჯ. შულცს, რათა დაამთავრონ მუშაობა საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების შესახებ ხელშეკრულებაზე, აგრეთვე განიხილონ ამერიკის შეერთებულ შტატებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მომავალი თვის ოფიციალური ვიზიტის მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები.

ენენევაში ჩამოსვლის შემდეგ ე. ა. შევარდნაძემ გააკეთა შემდეგი განცხადება:

დღეს, საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის ახალი შეხვედრის წინ, კმაყოფილებით ვიხსენებთ, რომ ენენევა იყო მახეილ გორბაჩოვისა და შეერთებული შტატების პრეზიდენტის რონალდ რეიგანის პირველი შეხვედრის ადგილი.

იგი გახდა მნიშვნელოვანი ნიშანსვეტი სსრ კავშირისა და შეერთებული შტატების ურთიერთობის ნორმალიზაციისა და მოგვარების გზაზე, დასაბამი მისცა ფართო და კონსტრუქციულ პოლიტიკურ დიალოგს.

საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების თაობაზე საბჭოთა კავშირ-ამერიკის მორიგებას, აგრეთვე ენენევაში ჩაეყარა საფუძველი.

ჩვენ კარგ ნიშნად მიგვაჩნია ის, რომ დამაგვირგვინებელი და ამიტომ ყველაზე პასუხსაგები მოლაპარაკება, რომელიც დაკავშირებულია შეერთებულ შტატებში მიხეილ გორბაჩოვის ვიზიტის მომზადებასთან, ენენევაში მიმდინარეობს.

საბჭოთა დელეგაცია ჩამოვიდა აქ მტკიცე რწმენით, რომ სახელმწიფო მდივნის შულცის მეთაურობით წარმოგზავნილ შეერთებული შტატების დელეგაციასთან მოლაპარაკების დროს, გადაწყდება ნაკლები და საშუალო სიშორის ბირთვულ საშუალებათა ლიკვიდაციის შეთანხმების საბოლოო შემუშავების ყველა საკითხი. ჩვენ აუცილებლად მივაღწევთ დიდ, გადაუჭრობებლად შეიძლება ითქვას, ისტორიულ შედეგებს. მოახლოვდა დრო, რაც ევროპასა და მთელ მსოფლიოში აღარ დარჩება ორი კლასის ბირთვული რაკეტები.

განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ვუდგებით მომავალ მოლაპარაკებას და იმედი გვაქვს, რომ კონსტრუქციულ თანამშრომლობას მივაღწევთ ჩვენს ამერიკელ პარტნიორებთან.

ენენევის სულისკვეთება ფრთას გვასხამს.

მადლობა მინდა გადავუხადო შვეიცარიის მთავრობას, ენენევის კანტონისა და ქალაქის ხელისუფალთ მასპინძლობისა და იმ ჩინებული პირობებისათვის, რომლებიც მათ შეუქმნეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებას.

ვუსურვებ ენენევლებს, შვეიცარიის ყველა მოქალაქეს მშვიდობასა და კეთილდღეობას.

• • •

ᲔᲜᲔᲕᲐᲨᲘ ჩამოვიდა შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯ. შულცი სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრთან ე. ა. შევარდნაძესთან შესახვედრად.

• • •

ᲒᲣᲨᲘᲜ ენენევაში დაიწყო მოლაპარაკება სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრ ე. შევარდნაძესა და აშშ-ის. სახელმწიფო მდივან ჯ. შულცს შორის.

◆ ᲤᲘᲚᲘᲞᲘᲜᲔᲑᲘ

ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲜ ᲨᲔᲗᲘᲥᲛᲣᲚᲔᲑᲐᲡ

ᲛᲐᲜᲘᲚᲐ. ფილიპინებში მოქმედი ელექტრომექანიკული დაჯგუფებები ამერიკის შეერთებული შტატების ულტრამემარჯვენე ძალებს მხარდაჭერით ახალ შეთქმულებას ამზადებენ კორასონ აკინოს მთავრობის დამხობის მიზნით.

ფილიპინების შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა ფიდელ რამოსმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ, ისევე როგორც გადატრიალების სხვა ცდების წინ, სამხედრო ბანაკებში ახლაც ავრცელებენ პროკლამაციებს მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლათა მოწოდებით. შეერთებულ შტატებში კორასონ აკინოს ადმინისტრაციის იმ მოწინააღმდეგეთა შორის, რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ გაამწვაონ ვითარება ფილიპინებში და მოშალონ ქვეყნის შეიარაღებული ძალების ერთიანობა, რამოსმა დასახელა გადამდგარი ამერიკელი გენერალი ჯონ სინგლაუბი. გენერალური შტაბის უფროსის თქმით, სინგლაუბმა თავს იდო ძირგამომთხრელი საქმიანობის ორგანიზება მას შემდეგ, რაც ვერ დაარწმუნა მანილური ხელმძღვანელები იმაში, რომ ფილიპინელ აჯანყებულთა მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში ფართოდ უნდა ჩაებას ამერიკელი სამხედრო ექსპერტები.

ადგილობრივი მიმომხილველების აზრით სინგლაუბისა და სხვა ამერიკელი ქორების საქმიანობა იწვევს პოლიტიკური ძალების დაპირისპირებას და ქვეყანას უბიძგებს ძმათამკვლელი ომისაკენ, რომელიც ფაქტობრივად უკვე მიმდინარეობს მთელ რიგ პროვინციებში.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-ᲥᲐᲚᲔᲠᲛᲝ

ᲓᲐᲫᲛᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐ

ᲞᲐᲚᲔᲠᲛᲝᲨᲘ საზეიმო ვითარებაში მოაწერეს ხელი თბილისისა და პალერმოს დაძმობილების ხელშეკრულებას.

ამისათვის იქ ჩავიდა საქართველოს დედაქალაქის დელეგაცია საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარის ი. ა. ანდრიაძის მეთაურობით. ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონიას დაესწრნენ პალერმოს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, „იტალია-სსრ კავშირის“ საზოგადოების, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტივისტები, ქალაქის მცხოვრებლები.

თბილისის დელეგაციის ყოფნა სიცილიის კუნძულზე, მეხვედრები საზოგადოებრიობასთან იტალია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის მკაფიო მანიფესტაციად იქცა. ამ დღეებში გამართულ მრავალ მიტინგსა და მანიფესტაციაზე, რომლებშიც მონაწილეობდნენ საქართველოდან ჩამოსული სტუმრები, ყოველთვის იკრიბებოდა უამრავი ადგილობრივი მცხოვრები, რაც ასახავს იმ დიდ ინტერესს, რომელსაც იტალიელები იჩენენ სსრ კავშირის, მოკავშირე რესპუბლიკების ცხოვრების, ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნისადმი.

დაძმობილების ხელშეკრულების ფარგლებში გათვალისწინებულია შეთანხმება ორი ქალაქის ეკონომიკური, ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობის შესახებ. „ქართველ და სიცილიელ ხალხს ბევრი რამ აქვთ საერთო, — თქვა პალერმოს მერმა ლეოლუკა ორლანდომ. — ჯერ კიდევ XVII საუკუნეში თეატილნელთა ორდენის მონაზვნებმა იმოგზაურეს საქართველოში და ძვირფასი მასალა ჩამოიტანეს მისი ხალხის შესახებ. ამ ხელშეკრულების ხელმოწერისას გვინდა საგანგებოდ აღვნიშნოთ ჩვენი მისწრაფება სსრ კავშირისა და იტალიის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებისადმი“.

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘ. დამოუკიდებელი განვითარების წლების მანძილზე შრომისმოყვარე და ნიჭიერმა ინდოელმა ხალხმა ბევრ რამეს მიაღწია ახალი ცხოვრების მშენებლობის გზაზე. ეს უზარმაზარი სახელმწიფო, რომელიც ძლევს კოლონიურ ჩამორჩენილობას, დღეს მსოფლიოს წამყვანი ინდუსტრიული ქვეყნების პირველ ათეულშია. რესპუბლიკაში ერთიორად და მეტად გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო წარმოება. ხორციელდება ღონისძიებანი რთული სოციალური პრობლემების გადასაჭრელად. ამავე დროს ქვეყანა სათუთად იცავს თავისი უძველესი კულტურის სიმდიდრეს, ეროვნულ ტრადიციებს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲔᲑᲖᲔ: სამხრეთ ინდოეთის ქალაქი ბანგალორა; ინდოელი ქალები.

ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ.



ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘᲕᲘᲗ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘ

● ᲑᲐᲜᲒᲚᲐᲓᲔᲨᲘ

ᲒᲐᲤᲘᲪᲕᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲓᲐᲙᲐ, ბანგალადეშში გრძელდება საყოველთაო 48 საათის გაფიცვა, რომელიც გამოცხადდა ძირითადი ოპოზიციური პარტიების მოწოდებით. გაფიცვას მხარს უჭერენ პროფკავშირული, სტუდენტური, ახალგაზრდული ორგანიზაციები, რომლებმაც სოლიდარობა გამოუცხადეს დემოკრატიულ მოძრაობას. გაფიცულნი მოითხოვენ პრეზიდენტ ერშადის მთავრობის გადადგომას, რეპრესიების შეწყვეტას და უკანასკნელი თვის განმავლობაში დაპატიმრებული ორი ათასი მოძრაობის მონაწილის, აგრეთვე ოპოზიციის ორი წამყვანი ხელმძღვანელის — სახალხო ლიგის თავმჯდომარის ჰასინი ვაზედისა და ბანგლადეშის ნაციონალისტური პარტიის თავმჯდომარის ჰალედი ზიას (რახმანის) განთავისუფლებას.

როგორც პრესა იუწყება, შაბათს გაფიცვის პირველი დღის დემონსტრანტთა და პოლიციისა და მმართველი ეროვნული პარტიის მომხრეთა შეტაკების შედეგად მოკლეს 2 კაცი, დაჭრეს ასზე მეტი. როგორც ადგილობრივი მიმომხილველები აღნიშნავენ, გაფიცვის შედეგად მთლიანად შეწყდა ტრანსპორტის მუშაობა დაკაში და ქვეყნის სხვა დიდ ქალაქებში. შეწყვეტილია მოძრაობა რკინიგზებზე, გაუქმებულია ავიაკომპანიების ყველა ადგილობრივი რეისი, არ მუშაობენ ბანკები და მეტი წილი საწარმოები. მთავრობის დაწესებულებათა მოსამსახურენი სამუშაოზე მიჰყავთ სპეციალური ავტობუსებით, რომლებსაც გაძლიერებით იცავს პოლიცია. ოპოზიციამ გამოაცხადა, რომ კიდევ ორ დღეს გაგრძელდება საყოველთაო გაფიცვა.

◆

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ▪ მოვლენა ▪ კომენტარი

გალაკტიონის ღვთიური პოეზიის ხიბლი დიდი ხანია გასცდა მისი სამშობლოს ფარგლებს და თაყვანისმცემლები შეიძინა ჩვენი ქვეყნის მრავალ კუთხეში თუ მის ფარგლებს გარეთ. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ სერიით „ქართული პოეზია“ რუსულ ენაზე გამოსცა

გალაკტიონის ახალი კრებული

პოეტის რჩეული ლირიკა რუსულ ენაზე თარგმნეს ცნობილმა ქართველმა და რუსმა პოეტებმა — ალექსანდრე მეჟეიროვმა, ვალერიან გაფრინდაშვილმა, ნიკოლოზ ზაბოლოცკიმ, ნიკოლოზ ტიხონოვმა, ბელა ახმადულინამ, სტანისლავ კუნიაევმა. შესავალ სტატიაში ავტორი გია მარგველაშვილი მკითხველს აცნობს გალაკტიონის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

კიდევ ერთი კოოპერატივი

გაიხსნა საგარეჯოში. აქ ცხელ-ცხელ ხაჭაპურს, საკონდიტრო ნაწარმს და ფუნთუშეულს სთავაზობენ მომხმარებელს. აქვე მეიძლება შეუკვეთოთ აგრეთვე ტორტი თუ ღვეზელი შინ წასაღებად.

მალე საგარეჯოელები კიდევ რამდენიმე კოოპერატივს მიიღებენ. ეს იქნება ავტოსარემონტო, ხის, კერამიკულ, ლითონის ნაკეთობათა დასამზადებელი კოოპერატივები.

შემდგომი ინფორმაცია კი უკვე კოოპერატორთა საერთაშორისო კონტაქტებს ეხება.

ორმხრივ ხელსაყრელი

— ასე განსაზღვრეს ბათუმელმა და ბულგარელმა კოოპერატორებმა თავიანთი საქმიანი კონტაქტების მოსალოდნელი შედეგები.

ბამბის ქსოვილებით, მაცივრებით და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა საქონლით სავსე 4 სარკინიგზო ვაგონი გაიგზავნა ბათუმიდან ბლაგოევგრადში. ასეთივე თანხის დაახლოებით 330 ათასი მანეთის საპასუხო „ამანათი“ მოვა იქიდანაც. უფასლუტო საფუძველზე ამ პირველმა გაცვლითმა ოპერაციამ უნდა გაამართლოს დანიშნულება, ვინაიდან ბულგარელები თავიანთ ბათუმელ პარტნიორებს სთავაზობენ ისეთ საქონელს, რომელზეც აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დიდი მოთხოვნილებაა. ეს არის, მაგალითად, ხავერდოვანი, გასარეცხი, ტვიფრული შალები, მოსაპირკეთებელი ფილები, ქალის, მამაკაცის, ბავშვის ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, ტრიკოტაჟი, ავეჯი, ლინოლეუმი, ზეთის რადიატორები, აგრეთვე სასურსათო საქონელი, მათ შორის ჩვენთან მეტად პოპულარული „პიკული“.

შესაბამისად ბულგარელები სთხოვენ ბროლის ნაწარმს, მინისა და მომინანქრებულ ჭურჭელს, საკონდიტრო ნაწარმს. განსაკუთრებული მოთხოვნაა ჩვენს სადად შეღებილ ბამბის ქსოვილებზე.

მკურნალობს ნახშირწყლები

ნახშირწყლების ქიმიისა და ბიოქიმიისადმი მიძღვნილ VIII საკავშირო კონფერენციის მოახსენეს, რომ ამ ბოლო წლების მანძილზე ქართველმა მეცნიერებმა არაერთი ახალი სამკურნალო პრეპარატი შექმნეს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა ილაპარაკეს სამედიცინო პრეპარატებზე, რომლებმაც წარმატებით გაიარა გამოცდა და ეფექტიანად გამოიყენება ურემიის, გულისა და სისხლძარღვთა დაავადებების, დამწვრობის მკურნალობისას. მათ შორის არის ადგილობრივი მცენარეული ნედლეულის საფუძველზე შემუშავებული ფლარონიხი, ბიმალენ-ხეო, კარიპაზიმი და სხვები.

მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ვლადივოსტოკის, ბაქოს, ერევნის სპეციალისტებმა განიხილეს მცენარეებსა და მიკროორგანიზმებში ნახშირწყლების ბიოსინთეზის მეცნიერული ასპექტები, ცოცხალ ორგანიზმში ამ ნაერთების რეგულაციის მექანიზმები, მათი სტრუქტურები. ინფორმაციების გაცვლა მეცნიერებს ხელს შეუწყობს უფრო წარმატებით გადაწყვიტონ მედიცინაში, სოფლის მეურნეობაში, ქიმიურ მრეწველობაში, ბევრ სხვა დარგში ნახშირწყლების გამოყენების მრავალი აქტუალური საკითხი.

„კომუნისტის“ კორესპონდენტების, სპეციალისტა და საქინფორმის მასალები რუბრიკისათვის მოამზადა **გ. ხარებაშვილმა.**

ინტენსიფიკაციდან ჯანმრთელობა

თბილისში გაიხსნა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტთა თათბირი. თათბირის მონაწილეებმა უნდა განიხილონ ადამიანთა ჯანმრთელობაზე იმ ქიმიურ ნივთიერებათა ზეგავლენის საკითხები, რომლებსაც იყენებენ სოფლის მეურნეობაში.

თათბირი იმართება საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გ. ნათაძის სახელობის სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს დაცვის პროგრამისა და ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმების შესაბამისად. მის მუშაობაში მონაწილეობენ წამყვანი საბჭოთა და უცხოელი სპეციალისტები, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის შტაბ-ბინის წარმომადგენლები.

დღეს მსოფლიოში დაგროვილია ვრცელი ინფორმაცია აგროქიმიკატების შემცველობის დონის, გარემოს ობიექტებში მათი გადატანისა და ტრანსფორმაციის, კვების პროდუქტებში დაგროვების, ადამიანზე ზემოქმედების შესახებ. საბჭოთა კავშირში, ისევე როგორც უმტეს განვითარებულ ქვეყნებში, დადგენილია გარემოში აგროქიმიკატების შემცველობის ზღვრულად დასაშვები დოზები, როგორც მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მათი მავნე ზეგავლენის პროფილაქტიკის ძირითადი ღონისძიება.

(საინფორმი.)

ახალი თბილისი

გმირთა მოედანი

ფ. კრიმსკის ფოტო.

საქართველო საზღვარგარეთ

ნაამბობი ამერიკიდან ჩამოსულებისა

— **მეამაყებოდა** ჩემი ქართველობა, ისეთ მომენტებს შევესწარი არგენტინასა და ბრაზილიაში, —თქვა ბორის წიფურიამ.

— ჩვენ მთლად „საქართველოში“ ვიყავით — ჯორჯიის შტატში, ახლად დამოყვრებულ ატლანტელებთან, — მოუჭრა ბადრი თოიძემ.

— მაშინ, მოდით, ყველაფერი დალაგებით მოგვიყევით — „გავაშველე“ ისინი და საუბარი პირველმა თბილისის სახელმწიფო ცირკის დირექტორმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა, საკავშირო ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატმა ბორის წიფურიამ დაიწყო, რომელიც არგენტინასა და ბრაზილიაში ხუთ თვეს გასტროლებზე მყოფ საბჭოთა ცირკს ხელმძღვანელობდა და ამ დღეებში დაბრუნდა სამშობლოში.

ვ. მარდალეიშვილი.

— მოგზაურობა საკმაოდ რთული იყო, ჯგუფიც — უჩვეულო. ამა წარმოიდგინეთ: 15 ვეფხვი, 3 დათვი, 8 ცხენი, ძაღლები, მტრედები... ამათი დატვირთვა, დაბინავება, თვითმფრინავით თითქმის 25 საათი ჰაერში... მაღლობა ღმერთს, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა...

პირველი გამოსვლა 2 ივლისს გვქონდა არგენტინაში — ბუენოს-აირესის ყველაზე დიდ საკონცერტო დარბაზ „ლუნა პარკში“, რომელიც 15 ათას მაყურებელს იტევს. საბჭოთა ცირკს, მის ხელოვნებას არგენტინაში დიდად აფასებენ. დარბაზი ყოველთვის სავსე იყო. აღსანიშნავია, რომ წარმატებით გამოსვლებისთვის არგენტინის საცირკო ხელოვნების ასოციაციამ ჩვენი კოლექტივი მშვენიერი პრიზით — „ოქროს კლოუნით“ დაჯილდოდა.

ყოველივე ეს სასიხარულო იყო, მაგრამ იმ სიხარულს მაინც ვერ შეედრებოდა, როდესაც ბუენოს-აირესის აეროპორტში არგენტინაში საგასტროლოდ ჩამოსულ ჩემს მშობლიურ რუსთაველის თეატრს დავხვდი. მანამდე, როგორც კი შემეძლო, საგაზეთო ინტერვიუებში თუ ტელევიზიით გამოსვლისას არგენტინელებს ვაუწყებდი, რომ ელოდათ საოცარ თეატრთან შეხვედრა, რომლის მსახიობიც მე გახლავართ-მეთქი. და მართლაც, რუსთაველის თეატრს არ ვხლებიარ გასტროლებზე, და ამდენად მისი ტრიუმფის უშუალო მონაწილე არ ვყოფილვარ, მაგრამ რაც არგენტინაში ჩემი თვალით ვნახე, დავრწმუნდი, რომ „ოკამენდაციაში“ არ შევმცდარვარ. აი, სად იყო სიხარული და სიმაყე! ანდა „სუხიშვილების“ ანსამბლი რომ ჩამოვიდა და ხალხით გაძეძგილი დარბაზი სცენიდან რომ აღარ უმღერია, სტვენა ძალზე შეხმატკბილებული, ორ ნაწილად გაყოფილი მაყურებლები აცლიან ერთმანეთს გრძნობების გამოხატვას...

გვქონდა ძალზე საინტერესო შეხვედრები. მაგალითად, ბუენოსაირესში იმ დროს საგასტროლოდ იყო მსოფლიოში სახელგანთქმული მიმი მარსელ მარსო. მან თავისი თეატრის წევრებთან ერთად სურვილი გამოთქვა ჩვენს წარმოდგენას დასწრებოდა. ძალიან მოეწონა საბჭოთა ცირკის ოსტატების გამოსვლები, მოგვილოცა და ჩვენც სამახსოვროდ რუსული სამოვარი გადავეცით, თან ვუთხარი: თბილისში არის კარგი პანტომიმის თეატრი-მეთქი. მიპასუხა: კარგად ვიცნობ იმ თეატრს და მის ხელმძღვანელს ამირან შალიკაშვილსო, მეორე დღეს კი 15 კაცი მიგვიწვია თავის ბრწყინვალე სპექტაკლზე, სადაც პარტერში მარჩელო მასტროიანის გვერდით მოვხვდი. იგი თურმე ოჯახთან ერთად არგენტინაში მოგზაურობდა.

ზოგიერთმა შეიძლება გაიფიქროს: რა ბედნიერი კაცია, ეს წიფურია, 5 თვე არგენტინასა და ბრაზილიაში- გაატარო, მაგრამ არც მთლად ასეა, ვერ წარმოიდგენთ, რა ძნელი ყოფილა ამდენი ხნით სამშობლოს მოცილება, რა ანდამატი ჰქონია ჩვენს დალოცვილ მიწა-წყალს. ჰოდა, მთელ კოლექტივთან ერთად მეც უბედნიერესი კაცი ვიყავი, როდესაც სამშობლოში გამოვბრუნდით ჯანმრთელი და ტანმრთელი. რაც მთავარია, არ შეგვიცხვენია საბჭოთა საცირკო ხელოვნება! აი, ეს იყო მოკლედ... ახლა კი თქვენ გიამბენთ ბადრი...

საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „რუსთაველ“ ქორმაისტერი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ბადრი თოიძეც აღარ აყოვნებს:

— ჩვენც ამერიკის კონტინენტზე ვიყავით, ოღონდ შეეთეთებულ შტატებში, კერძოდ, ჯორჯიის შტატში — ქალაქ ატლანტაში.

ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მოწყობილიყო მოძრავი გამოფენა „საბჭოთა კავშირი, ადამიანი, ოჯახი, საზოგადოება“. ეს დაიწყო აგვისტოში, ახალ ორლეანში, სადაც საბჭოთა სომხეთის კულტურის ოსტატები ემსახურებოდნენ გამოფენას, და გადმონაცვლა ატლანტაში, სადაც გამოფენაზე კულტურული პროგრამა უნდა წარედგინა ანსამბლ „რუსთაველ“ ერთ ჯგუფს. ამერიკის „ჯორჯიასა“ და საბჭოეთის ჯორჯიას“ შორის რაღაცნაირი პარალელი გაავლეს მასპინძლებმა, თანაც ატლანტა და თბილისი სულ ახლახან დამოყვრდნენ, ამიტომ დიდ პატივში ვყოფილ.

18 დღეში 36 კონცერტი გავმართეთ გამოფენის ვებერთელა საკონცერტო დარბაზში. გამოფენას ეწვია და ჩვენს კონცერტსაც დაესწრო ყოფილი პრეზიდენტი ჯიმი კარტერი. კონცერტის დამთავრების შემდეგ იგი სცენაზე ამოვიდა და გულითადად მოგვილოცა წარმატება.

იმ პერიოდში ატლანტაში გაიმართა ხელოვნების ფესტივალი. მასპინძლებმა პატივი დაგვდეს და ერთი განყოფილება მთლიანად დაგვითმეს. საერთოდ, ეტყობა, ამერიკელები დიდ პატივს სცემენ ფოლკლორს. შტატებში არც ისე ხშირად ჩადიან მხატვრული კოლექტივები. როგორც მახსოვს, ერთხელ — 1977 წელს იყო ჩვენი დამსახურებული ანსამბლი, ამიტომ ქართულმა სიმღერებმა და ცეკვებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. აი, ნახეთ, ჯორჯიის შტატის ერთ-ერთი უდიდესი გაზეთი „ატლანტა კონსტიტუციონი“ სათაურით „საბჭოთა დასი მომხიბლავ სანახაობას გვთავაზობს“ წერს: „რუსთაველ“ სიმღერისა და ცეკვის განსაკუთრებულ დასს საბჭოთა საქართველოდან ძველი ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები წარმტაც სანახაობად გადაუქცია. დასი ყოველდღე მართავს კონცერტებს ატლანტის სამოქალაქო ცენტრში“ გამოფენაზე: „საბჭოთა კაფერი, პიროვნება, საზოგადოება, ოჯახი“.

უბრალოდ რომ ვთქვათ, ეს მუსიკალურ-საცეკვაო სანახაობა უყრადღების ღირსია.

ცეკვის გარდა არის მუსიკალური ნომრები მამაკაცთა გუნდის შესრულებით. მათი სიმღერა ორგანის ტკბილ ხმას მოგვაგონებს. თითოეული მათგანი რიგრიგობით მღერის და სხვები ბანს ეუბნებიან. ეს მუსიკა ბუნებას ჰგავს ქარიანი მობუტბუტეს — ადამიანის ხმებთან შესისხლორცებულს.

ამერიკაში მყოფი დასი სამშობლოში დარჩენილი 90-კაციანი ანსამბლის მხოლოდ პატარა ჯგუფია. ანსამბლი ბევრს მოგზაურობს საზღვარგარეთ“...

კიდევ რა გიამბოთ? მიგვიწვია ფირმა „კოკა კოლამ“, ტელევიზიამ იქვე გადაიღო ჩვენი ორი ნომერი. გამოფენაზე ჩამოვიდა კიდევ ერთი „ქართული ჯგუფი“ —თბილისის მოდელების სახლის მემოდელეები, რომლებმაც ქართული მოდები გააცნეს ამერიკელებს.

მთავარია, რომ ჩვენ, ალბათ, ჩვენი უმცირესი წვლილი შევიტანეთ მსოფლიოს ორი უდიდესი სახელმწიფოს, მისი ხალხების ურთიერთგაგების საქმეში.

* * *

სურათებზე: ბორის წიფურია სამახსოვრო სუვენირს — რუსულ სამოვარს გადასცემს მარსელ მარსოს; ბორის წიფურიას „ოქროს კლოუნს“ გადასცემენ არგენტინის საცირკო ხელოვნების ასოციაციაში.

სასკოლო რეფორმა

კოლეგები უზიარებენ გამოცდილებას

ქართველი და ოსი ხალხების მეგობრობა ოდითგანვე საამიდო გზად და ხიდად გადებულა. ამიტომაც არის, რომ, რაგინდ საქმიანიც იყოს მათი შეხვედრები, ისინი პირველ ყოვლისა, ეშმარიტი ძმობის დემონსტრაციად გადაიქცევა ხოლმე. ასე იყო ამას წინათაც, როცა ცხინვალს ქუთაისელ პედაგოგთა ერთი ჯგუფი ეწვია იმ მიზნით, რომ ერთად ემსჯელათ სასკოლო რეფორმის აქტუალურ საკითხებზე, ერთმანეთისათვის გაეზიარებინათ გამოცდილება. ქუთაისელი პედაგოგები პირველად ცხინვალის რაიონის ქუთოის საშუალო სკოლას ეწვივნენ. აქ ისინი გაეცნენ კომპიუტერებით აღჭურვილ კლასს, ფიზიკის კაბინეტს, დაათვალიერეს მხარეთმცოდნეობის სასკოლო მუზეუმის ექსპონატები, მოინახულეს ცხინვალის პირველი, მეორე, მეოთხე და მეექვსე საშუალო სკოლებიც. აქ მათ პროფესიული, საქმიანი საუბრები ჰქონდათ კოლეგებთან.

ქუთაისელი პედაგოგები დაინტერესდნენ სამხრეთ ოსეთის პიონერთა და მოსწავლეთა საოლქო სასახლის, ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგურის მუშაობით. ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგემ თ. ფირცხალაშვილმა თქვა, რომ ცხინვალელი ნორჩი ნატურალისტებისა და ნორჩი ტექნიკოსების სადგურების საქმიანობას საგანგებოდ შეისწავლიან და გაითვალისწინებენ მუშაობაში. სამხრეთ ოსეთის განათლების საოლქო განყოფილების გამგემ ფ. ფუხავეგმა თავის მხრივ აღნიშნა, რომ ცხინვალელ პედაგოგთათვის მრავალმხივ საყურადღებოა ქუთაისელი კოლეგების გამოცდილება. ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმო ჩანს ისეთი მწვავე და საჭირბოროტო საკითხი, როგორიც ახალგაზრდა მასწავლებელთა სამსახურში მიღებაა.

გარდა წმინდა პროფესიული საკითხებისა, სტუმრები დაინტერესდნენ სამხრეთ ოსეთის ღირსშესანიშნაობებით, ოსი ხალხის ყოფაცხოვრებითა და ადათ-წესებით. დაათვალიერეს დიდი ლიახვის ხეობა, საავტომობილო გზის ყველაზე დიდი გვირაბი საბჭოთა კავშირში, ეწვივნენ მინერალური წყლების ჩამოსასხმელ ქარხანას, საკავშირო ახალგაზრდულ ბანაკს კროხის ულამაზეს მიდამოებში.

გაივლის ცოტა ხანი, და ახლა ცხინვალელი პედაგოგები ესტუმრებიან ქუთაისელ კოლეგებს. ეს მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა არაერთ სიკეთეს მოუტანს მათს დიდ საერთო საქმეს.

გ. თედეევი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

წიგნის თარო

გამომცემლობა „ნაკადულმა“ კიდევ ერთი ნობათით გაახარა პოეზიის მოყვარულთა გული — გამოუშვა ცნობილი პოეტის ზაურ ბოლქვაძის ლირიკული ლექსებისა და პოემის კრებული „მარადიული ცეცხლი“.

მარადიულია სიცოცხლე. თუ კაცი კაცად ვარგა, თუ იგი ერსა და სამშობლოს რასმე მატებს, მაშინ სიკვდილიც კი სიცოცხლეს ვერას აკლებს.

ბინას ვიპოვი მე მის მზეზურგში, — დიდი სიცოცხლის ერთი ფანტელი, — მე ხაჭართველოს მიწას ვეკუთვნი და მის ხმეცირეს მივემატები, — წერს პოეტი სამშობლოზე მისი „სიყვარულის დენით“ დამუტტული სტრიქონებით.

ღრმად ადამიანური ლექსებით გვათბობს ზაურ ბოლქვაძე: **თუ მიგატოვო, მეც თავის დღეში, ჩემად არ ვიგრძნო შენი იარა, მაშინ, ყელამდე ჩაფლული შენში, გემუდარები, ჩამფალ მთლიანად!**



ან: **რომ შეგამატოდა სიცოცხლე ერთი, მე დავიბადე მარტო ამისთვის!...** კიდევ: **მარტო იმიტომ მოვკვდები მზვიდად, რომ შენ მოგაკლო სიკვდილი ერთი!**

უგულითადესია კრებულში დედაშვილ-მამაშვილობის ფაქიზი გრძნობით ამაღლებული ლექსები: **დიდხანს ველოდით მეორე წერილს და ფოსტალიონს ვხვდებოდით გზაში, ერთხელაც დავხვდით და ყველაფერი დედის კიკილმა მაუწყა მაშინ...** (ომში დაღუპულ მამაზე);

მამა ვერ დაბრუნდა, შვილი სიცოცხლეს განაგრძობს!

სულ ილოცე, ელისო, ერისთვის და ენისთვის, როცა მამულს შეიცნობ, მაშინ, შვილო, შენ იცი!.. მამულისთვის ანათე, მის დიდ წარსულს ჩახედე, ერს არგე რა, სანამდე ერით იამყვებდე. (ქალიშვილზე).

არგო! — პიანისტმა ელისო ბოლქვაძემ მოხიბლა სამშობლოც და ევროპაც.

მარადიულია სიცოცხლე! სიცოცხლე იმარჯვებს! — ამას გვიხატავს ზაურ ბოლქვაძის პოეზია „მარადიულ ცეცხლში“.

ვლადიმერ თორდუა.

* * *

გამომცემლობა „ნაკადულმა“ გამოუშვა შოთა ხოდაშნელის საბავშვო ლექსების კრებული „იმედა და მზის სხივი“. პოეტი მოუთხრობს პატარებს კამკამა ნაკადულებზე, ბაჭიებსა და დათუნიებზე, კრებულში გამოცანებიც არის. ვფიქრობთ, ნორჩები ინტერესით გაეცნობიან ყოველივეს. შოთა ხოდაშნელს ეკუთვნის აგრეთვე, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მიხედვით ორიგინალურად შედგენილი სათამაშო ლოტო, რომელსაც „გონებანი გონიერსა“ ჰქვია და გამომცემლობა „განათლებამ“ გამოუშვა. თამაში სახალისოა და განკუთვნილია ახალგაზრდობისათვის. იგი დახმარებას გაუწევს მოსწავლეებს პოემის უკეთ შესწავლაშიც.

სპორტი

მსოფლიო პირველობა ჰაკერკაში

ყაიმი თამაშის განუახლებლად

როგორც მოსალოდნელი იყო, კარპოვ-კასპაროვის გადადებულ მეთხუთმეტე პარტიაში ბრძოლა აღარ განახლებულა. მართალია, კარპოვს მცირე პოზიციური უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ მან თვით შესთავაზა მეტოქეს ყაიმი. საქმე ის არის, რომ მსოფლიო ჩემპიონს, როგორც ნათლად ჩანდა, ხარისხის შეწირვით შეეძლო თამაშის საყაიმო ენდშპილში გადაყვანა, სადაც თეთრების ზედმეტ პიაკს უკვე არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

ანგარიში გახდა 8:7 მსოფლიო ჩემპიონის სასარგებლოდ. დარჩენილ პარტიებში კასპაროვმა თავისი წოდების შესანარჩუნებლად კიდევ 4 ქულა უნდა დააგროვოს, კარპოვმა კი მკვეთრად უნდა გაამწვავოს ბრძოლა, — მას 9 პარტიიდან 5,5 ქულის დაგროვება სჭირდება.

47-ე საკავშირო...

მოჰაჯდრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მეჩვიდმეტე ტურის შემდეგ სხვაობა ნანა იოსელიანსა და მის უახლოეს მდევარ ელენე ახმილოვსკაიას შორის კვლავ ერთ ქულამდე გაიზარდა. იოსელიანმა დაამარცხა შაფრანსკა, ახმილოვსკაია კი ყაიმზე შეუთანხმდა სემიონოვას. სხვა მონაწილეები ამ ტურის შემდეგ უკვე აღარ აკიდებენ პრეტენზიას პირველ ადგილზე. ხოროვეც-არახამიასა და ეიდელსონ-მატვეევას პარტიები ყაიმით დამთავრდა. გურიელმა ლამაზი შემტევი სტილით მოუგო სტრუტინსკაიას, ქასოშვილმა — ზაიცევას, სოფიევამ — ჩელუშკინას, პოლნარიოვამ — ველიხანლის.

სოფიევა-იოსელიანის მეთვრამეტე პარტიაში გათამაშდა სიცილიური დაცვა. შუა თამაშში მწვავე პოზიცია შეექმნა დაახლოებით თანაბარი შესაძლებლობით. 22-ე სვლაზე მეტოქეები დაზოგდნენ. ამასობაში ახმილოვსკაიამ შავებით უპირატესობა მიიღო სტრუტინსკაიასთან. მან ჭარბ ძალებს მოუყარა თავი მეტოქის მეფის წინააღმდეგ და მოსკოველს ხარისხის დათმობა მოუხდა. საბოლოოდ თამაში ეტლებს ენდშპილში გადავიდა ახმილოვსკაიასათვის ზედმეტი პაიკით და მან ქულა მოიპოვა კიდევ. არახამიამ კარგად წარმართა შეხვედრა ქასოშვილთან, დიდი მატერიალური დანაკლისის შემდეგ ქასოშვილმა შეწყვიტა წინააღმდეგობა. შაფრანსკა-გურიელის პარტიის ბედი გადაწყვიტა ეფექტურმა ტაქტიკურმა დარტყმამ, რომელიც ქართველმა დიდოსტატმა განახორციელა. გურიელს დიდი მატერიალური უპირატესობა დარჩა და გაიმარჯვა. ზაიცევამ დაამარცხა ველიხანლი, სემიონოვა ყაიმზე შეუთანხმდა გალიამოვას, ლელჩუკი — სახატოვას, მატვეევა — ხოროვეცს.

18 ტურის შემდეგ 13,5 ქულით წინ არის ნანა იოსელიანი. 13 ქულა დააგროვა ელენე ახმილოვსკაიამ, 12 ქულით მესამე ადგილზეა ქეთევან არახამია.

გ. გამრეკელი.

ტურნირი ▪ მატჩი ▪ შედეგი

ფუალბურთი. მოსკოვში დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატის ბოლო ეტაპი. ბოლო სამი ტურის მატჩებში, საუკეთესო ექვსეულში მოასპარეზე თბილისის „დინამოს“ ასეთი შედეგები ჰქონდა: მოსკოვის „დინამო“-თბილისის „დინამო“ — 10:10, თბილისის „დინამო“-ალმა-ათის „დინამო“ — 8:10, მოსკოვის უნივერსიტეტი-თბილისის „დინამო“ — 12:10. მოსკოვის დინამოელებმა ოქროს მედლები მოიპოვეს, მოსკოვის უნივერსიტეტის წყალბურთელებმა — ვერცხლისა, ალმაათელებმა — ბრინჯაოსი. თბილისის „დინამო“ მეექვსე ადგილზე გამოვიდა.

ფეხბურთი. ევროპის საფეხბურთო ასოციაციების კავშირის (უეფა) სადისციპლინო კომისიამ თავის სხდომაზე განიხილა ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციის აპელაცია და გადაწყვიტა, რომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ამ ქვეყნისა და კვიპროსის გუნდებს შორის ახლად გაიმართება. შეხვედრა მოეწყობა ჰოლანდიის რომელიმე ქალაქში (გარდა როტერდამისა) უმაყურებლოდ. გარდა ამისა, მატჩის მსვლელობა არც რადიოთი გადაიცემა და არც ტელევიზიით. ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ჰოლანდიისა და კვიპროსის გუნდების მატჩის შედეგი (8:0) როტერდამში მომხდარი ინციდენტის გამო გაუქმდა. ერთი სიტყვით, ადრინდელი გადაწყვეტილება გადაისინჯა და ახლა ყველაფერი თავიდან იწყება. ეს შეხვედრა უნდა მოეწყოს 16 დეკემბრამდე. ჯერჯერობით მეხუთე შესარჩევ ჯგუფში გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია: ჰოლანდია — 10 ქულა (6 მატჩიდან), საბერძნეთი — 9 (7-დან), პოლონეთი — 8 (8-დან), უნგრეთი — 6 (7-დან), კვიპროსი — 1 (6-დან).

მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში

ყაიმი თამაშის განუახლებლად

ჯერ კიდევ არიან მძღოლები, რომლებიც არ ემორჩილებიან წესსა და რიგს და მთვრალი მართავენ სახელმწიფო ავტომობილებსაც კი. აი ისინიც:

თბილისის ოცდაექვსი კომისრის რაიონის სურსათვაჭრობის ავტომანქანა „მურავეის“ (სახელმწიფო ნომერი 17-74 გრა) მძღოლი **თემურ რომანის ძე ელიბეგოვი** მთვრალიც იყო და არც მძღოლის მოწმობა ჰქონდა, ასევე მთვრალები იყვნენ № 4 მექანიზაციის სამმართველოს „ზილ-130“-ის (10-56 გაზ) მძღოლი **ივთანდილ ლუკას ძე ნადაშვილი,** ქარელის რაიონის აგარის ინერტული მასალების უნომრო „ზილ-130“-ის მძღოლი **ზაზა გურამის ძე ოსიტაშვილი,** ბორჯომის მეათე ავტობაზის „მაზ-504“-ის (17-57 გალ) მძღოლი **გიორგი სამსონის ძე ბერიძე,** კავკასგვირაბმშენის „კამაზის“ (96-75 გაზ) მძღოლი **გიორგი გიორგიას ძე ახსაბაძე,** ხოლო აგრომშენის „მოსკვიჩის“ (19-47) მთვრალმა მძღოლმა **გოჩა ალექსანდრეს ძე ხოსროშვილმა** ავტოავარია მოახდინა.

კასპის რაიონის სოფელ ლამისყანის კოლმეურნეობის მთვრალმა ტრაქტორისტმა **გივი ნიკოლოზის ძე მანგოშვილმა,** რომელსაც ავტომობილის მართვის მოწმობა არ ჰქონდა, საკუთარი „ეიგულის“ საქე გადასცა ასევე მთვრალ თანასოფელს **რობერტ დიმიტრის ძე კობაურს.** ასევე მოიქცა ელექტროდეპოს მძღოლი **მეკლუდ რევაზის ძე მამადაშვილი.**

საქენერგოს მძღოლმა, ტელმანის ქ. № 15 მცხოვრებმა მთვრალმა **ამირან შალვას ძე მელაძემ,** რომელსაც ავტომობილის მართვის მოწმობა არ ჰქონდა, საკუთარი „მოსკვიჩით“ ავტოავარია მოახდინა, ხოლო № 76 საბინაო-საექსპლოატაციო უბნის სანტექნიკოს **მერაბ ხეთაგის ძე კუხუროს** სიმთვრალისათვის მართვის მოწმობა ჩამორთმეული აქვს, მაგრამ ამავე დაწესებულების თანამშრომელ **მამუკა ზურაბის ძე გაჩიჩილაძესთან** ერთად გამოთვრა და საკუთარი „ზაპოროჟეცის“ საქე გადასცა თანამესუფრეს, რომელსაც მართვის მოწმობა არა აქვს. მთვრალებმა ღამით ბახტრიონისა და კუტუზოვის ქუჩების გადაკვეთაზე ავტოავარია მოახდინეს.

„კომუნისტის“ რედაქცია პასუხს ელის იმ საწარმო-დაწესებულებებიდან, სადაც ისინი მუშაობენ.

47-ე საკავშირო...

ტურნირი ▪ მატჩი ▪ შედეგი

რედაქტორის მოადგილე
დ. იოსელიანი

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგია, პოლიტიკური განყოფილება, პარტიული კომიტეტი, პროფკავშირულ ორგანიზაციათა გაერთიანებული კომიტეტი და ვეტერანთა საბჭო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა პარტიისა და შრომის ვეტერანი, დიდი სამამულო ომის მონაწილე

დავით ვასილის ძე კაკაბაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ცისფერ ეკრანზე

მოსკოვი

24 ნოემბერი

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. 9.35 — ვ. როზოვი. „სოლის ბუდე“. მოსკოვის სატირის აკადემიური თეატრის ფილმ-სპექტაკლი. 12.35 და 17.30 — ახალი ამბები. 17.45 — ბავშვებს მხეცების შესახებ. გადაცემა ლენინგრადიდან. 18.15 — დოკუმენტური ფილმები. 18.50 — უკრავს ა. ზიმაკოვი (გიტარა). 19.15 — ჩვენი ბაღი. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში. 20.05 — პრობლემები — ძიებანი — გადაწყვეტანი. 21.35 — უკრავს რსფსრ სახალხო არტისტი ი. ოისტრახი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროექტორი. 22.50 — „სიმღერა-87“. 0.05 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — ქილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ფილმი. 9.35 და 10.35 — გეოგრაფია. VII კლასი. 10.05 და 14.40 — ფრანგული ენა. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის. ესთეტიკური აღზრდა. 11.35 და 12.40 — ბუნებისმეტყველება. III კლასი. 11.55 — რუსული მეტყველება. 12.25 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 13.00 — მხატვრული ფილმი „ჭრელთა“ საქმე“. 15.10 — ახალი ამბები. 15.15 — ბუნების თხზულებათა კრებული. ნ. ი. ვავილოვის შესახებ. 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — ტელეჟურნალი „სოციალიზმის ქვეყნებში“. 19.45 — მულტფილმი. 20.00 — რიტმული ტანვარჯიში. 20.30 — მუსიკალური კიოსკი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.15 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროექტორი. 22.50 — მხატვრული ტელეფილმი „ტურბინების დღეები“. I სერია. დოკუმენტური ფილმი. 0.20 — ახალი ამბები.

თბილისი

24 ნოემბერი

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. 13.00 — „ნაშუადღევს“. 16.00 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე.